



ცაგერის მუნიციპალიტეტის  
პრიორიტეტების დოკუმენტი

2023-2026 წლები

## თავი I. ზოგადი ინფორმაცია მუნიციპალიტეტის შესახებ

### ისტორია

ცაგერის მუნიციპალიტეტი მდებარეობს რაჭა-ლეჩხუმის და ქვემო სვანეთის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში. ჩრდილოეთიდან მას ესაზღვრება ლენტეხის მუნიციპალიტეტი, დასვლეთიდან - მარტვილის მუნიციპალიტეტი, სამხრეთით - წყალტუბოსა და ხონის მუნიციპალიტეტები, აღმოსავლეთით - ამბროლაურის მუნიციპალიტეტი. მუნიციპალიტეტის ფართობია 755,4 კმ<sup>2</sup>. მუნიციპალიტეტის სიმაღლე ზღვის დონიდან საშუალოდ 540 მ-ია. მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული ცენტრია ქ. ცაგერი. ადმინისტრაციული ცენტრის დაშორება დედაქალაქთან 325 კმ-ია.

მუნიციპალიტეტში არ არის რკინიგზა. უახლოეს სარკინიგზო სადგურთან (ქ. წყალტუბო) დაშორება შეადგენს 55კმ-ს, მუნიციპალიტეტს სახელმწიფო საზღვრებთან შეხება არ აქვს.

ცაგერის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არის 19 ტერიტორიული ერთეული (იხ. დანართი 1.), რომელშიც შედის ქ. ცაგერი და 58 სასოფლო ტიპის დასახლება. ცაგერის მუნიციპალიტეტში შემავალ ყველა დასახლებას აქვს მაღალმთიანი სოფლის სტატუსი.

### გეოგრაფია

ცაგერის მუნიციპალიტეტი უდიდესი ნაწილი მაღალმთიანია, ზოგან არის საშუალომთიანი რელიეფიც. ტერიტორიის ძირითადი სიმაღლე მერყეობს 540-დან 1000 მდე მეტრამდე. მუნიციპალიტეტის მთავარი მდინარეებია; ცხენისწყალი და რიონის შუაწელი. მცირეწყლიანი მოკლე შენაკადებით (ჯონოული, ღვირიშის ღელე, ლაჯანური, კვერეშულა)

ადგილობრივი მნიშვნელობის გზების სიგრძე შეადგენს 215,5 კილომეტრს.

მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გადის 2 შიდა სახელმწიფო მნიშვნელობის გზა. (ქუთაისი-ცაგერი- ლენტეხი- აეროპორტი და ქუთაისი - ალპანა -ამბროლაური -მამისონი)

### მმართველობის ორგანოები

ცაგერის მუნიციპალიტეტში, ისევე როგორც საქართველოს ყველა სხვა მუნიციპალიტეტში აღმასრულებელი ხელისუფლებას ახორციელებს პირდაპირი წესით არჩეული მერი. მუნიციპალიტეტის მერი აღმასრულებელ ხელისუფლებას ახორციელებს მუნიციპალიტეტის მერიის სტრუქტურული ერთეულების (სამსახურები), მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული არამომგებიანი, არაკომერციული იურიდიული პირებისა (ააიპ)-ის მეშვეობით.

მუნიციპალიტეტი მოიცავს 19 ტერიტორიულ ერთეულს: ქალაქი ცაგერი; თემები: ქვ.ცაგერი, ჩქუმი, აღვი, სპათაგორი, ზუბი, ალპანა, ლასურიაში, წიფერჩი, ორბელი, ოყორეში, ლუხვანო, ჩხუტელი, ტვიში, დვირიში, უსახელო, ლაილაში, ნაკურალეში, საირმე.

### მოსახლეობა

ცაგერის მუნიციპალიტეტის მოსახლეობა 2022 წლის სტატისტიკური მონაცემებით 11844 კაცია. მუნიციპალიტეტში 59 დასახლებული პუნქტია: 1 ქალაქი, 58 სოფელი. დიდი სოფლებია ქვ. ცეგერი, ორბელი ლასურიაში,

მუნიციპალიტეტში 11844 მოსახლიდან 5932 ქალბატონია, ხოლო 5912 მამაკაცი.

მუნიციპალიტეტში რეგისტრირებულია 410 0დან -6 მდე წლამდე ბავშვი, 795 6-დან 18 წლამდე მოზარდი, 23 მრავალშვილიანი ოჯახი, 3485 პენსიონერი, 8002 სოციალურად დაუცველი სტატუსის მქონე პირი, მაღალმთიან დასახლებაში მცხოვრების სტატუსი გააჩნია მუნიციპალიტეტის მთელ მოსახლეობას.

ცაგერის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მრავლად არინიშნება ანტიკური პერიოდის ნასახლარები და არქეოლოგიური მასალები რაც მიუთითებს იმაზე რომ ეს ტერიტორია ოდიტგანვე მჭიდროდ იყო დასახლებული. რევოლუციამდე დრევანდელი ცაგერის მუნიციპალიტეტი შედიოდა ლეჩხუმის მაზრის სემადგენლობაში ლენტეხის მუნიციპალიტეტთან ერთად. ხოლო 1930-იანი წლებიდან ჩამოყალიბდა ცაგერის რაიონი ადმინისტრაციული ცენტრით ქ.ცაგერი.

### საჯარო დაწესებულებები

ცაგერის მუნიციპალიტეტში ფუნქციონირებს სხვადასხვა საგანმანათლებლო, კულტურული და სპორტული დაწესებულებები. მათ შორისაა:

- 25 საჯარო სკოლა , სადაც სწავლობს - 585 მოსწავლე.
- 15 საბავშვო ბაღი, არსაზრდელთა რაოდენობა -211 ბავშვი.
- 1 კულტურის სახლი - წრეების პროგრამებზე მონაწილეობს მიუზიკლის თეატრის 40 მოსწავლე და ბავშთა ფოლკლორული ანსამბლი „ხვამლის“ – 20 მოსწავლე.
- 1 - ა(ა)იპ ცაგერის მუნიციპალიტეტის მთავარი ბიბლიოთეკა , ახალგაზრდული და საბავშვო განყოფილებებით - 40 სასოფლო განყოფილება.
- **მუზეუმები:** ვარლამ მახარობლიძის სახელობის ცაგერის ისტორიული მუზეუმი მისი სტრუქტურული ერთეულებით , სურათების გალერეა., ლადო ასათიანის სახლ - მუზეუმი, არჩილ გელოვანის სახლ - მუზეუმი, სვეტიცხოველი ისიანის სახლ-მუზეუმი., არქეოლოგიურ ეთნოგრაფიული მუზეუმი „ღია ცის ქვეშ.
- დაწყებითი სამუსიკო განათლების 1 და სამხატვრო განათლების 1 სკოლა, შესაბამისად დაწყებით სამუსიკო განათლებას ეუფლება 60 და სამხატვრო სკოლის 45 ბავშვი.
- ა(ა)იპ ესთეტიკური აღზრდის ცენტრი - 150 აღსაზრდელით.
- კომლექსური სპორტული სკოლა 1 – 200 აღსაზრდელით.

- ა(ა)იპ საფეხბურთო კლუბი „ხვამლი“ – 80 ალსაზრდელით.
- ა(ა)იპ ფრენბურთის კლუბი „ცაგერი“ – 65 ალსაზრდელით.

**ღირშესანიშნაობები:**

ცაგერის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გვაქვს, როგორც ბუნებრივი ასევე ისტორიული ძეგლები და ღირშესანიშნავი ადგილები.

- მაქსიმე აღმსარებლის მონასტერი მურში, მურის ციხეთა კომპლექსი, გვესოს ციხეთა კომპლექსი, ორბელის ციხე, გონის წმ. გიორგის ეკლესია, ჩქუმის ნამარნევის ეკლესია, ებრაელთა სინაგოგა და სომხური ეკლესიის ნანგრევი სოფ. ლაილაშს....
- ღირშესანიშნავი ადგილები: ხვამლის მთა, მწვანე ტბა, საირმის სვეტები, ღვირიშის გადასახედი, ორბელის გადასახედი, მწვანე თეატრი, ლაილაშის ბულვარი.....

**ეკონომიკა**

ცაგერის მუნიციპალიტეტის ეკონომიკური განვითარება ტრადიციულად დამოკიდებული არის სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოებასა და განვითარებაზე, სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოების გაზრდასა და გადამამუშავებაზე, ამისათვის იდგმება პირველი ნაბიჯები. მუნიციპალიტეტის სხვადასხვა სოფელში გაიხსნა და მოქმედებს 35-საოჯახო მარანი. სოფ. წიფერაში მოეწყო თანამედროვე სტანდარტების დონეზე აღჭურვილი ცხოველთა სასაკლაო. უკვე სამი წელია მუნიციპალიტეტში მიმდინარეობს ველური ხილის დამზადება. გაიზარდა თაფლის წარმოება. სოფ.ქულბაქში მეთევზეობა. ქვ.ცაგერში მეღორეობის ფერმა. სოფ.გვესოსი მეთხეობის ფერმა, სოფ. ლასურიაში წარმატებით მოქმედებს კოოპერატივ „ჭრელას“ბაზაზე მოქმედი რძის გადამამუშავებელი საწარმო.დაიწყო ველური სამკურნალო ბალახების შეგროვება.სოფ.ბარდნალასი ეფექტიანად მოქმედებს ხე-ტყის გადამამუშავებელი საწარმო.

მუნიციპალიტეტის ეკონომიკის განვითარებისათვის სამომავლოდ აუცილებელია აშენდეს ორი ყურძნის გადამამუშავებელი ქარხანა, ხილისა და კენკრის მიღებისა და გადამამუშავებელი საწარმო, უნდა განვითარდეს ხე-ტყის, ბუნებრივი რესურსების გადამამუშავებელი საწარმოები.

ცაგერის მუნიციპალიტეტში 2022 წლის მონაცემებით მთლიანი შიდა პროდუქტი შეადგენს 28,5 მილიონ ლარს. მუნიციპალიტეტის მშპ-ის 15%-მდე შეადგენს საამშენებლო სამუშაოები, 5%-ს შეადგენს სამთო-მოპოვებითი და გადამამუშავებელი მრეწველობა, ხოლო ვაჭრობა და მომსახურეობა - 32%-ს. დანარჩენი 48% პროცენტი მოდის სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოებაზე და სხვა სექტორებზე.

აღნიშნული მონაცემები წარმოადგენს 2022 წლის ნოემბრის მაჩვენებლებს, სავარაუდოდ მონაცემებმა წლის ბოლოსათვის შეიძლება განიცადოს გარკვეული ცვლილება.

## თავი II. ძირითადი ფინანსური მაჩვენებლები

### 2.1 შემოსავლების და ხარჯების აგრეგირებული მაჩვენებელი 2023-2026 წლებისთვის

საშუალოვადიან პერიოდში საბიუჯეტო შემოსულობების პროგნოზული გათვლებისას, გათვალისწინებულ იქნა 2023-2026 წლებისათვის ქვეყნის ძირითადი მონაცემებისა და მიმართულებების დოკუმენტის პირველადი ვარიანტით განსაზღვრული მაკროეკონომიკური და ფისკალური მონაცემები. ასვე ბიუჯეტის ძირითადი მაჩვენებლები, რომლის მიხედვითაც განისაზღვრა ცაგერის მუნიციპალიტეტის 2023-2026 წლების შემოსულობების პროგნოზი საშუალოვადიან პერიოდში. დღგ-დან შემოსავლების საპროგნოზო მაჩვენებლები დათვლილია საბიუჯეტო კოდექსის 71-ე მუხლის შესაბამისად.

მუნიციპალიტეტის 2023-2026 წლის შემოსავლებისა და ხარჯების საპროგნოზო აგრეგირებული მაჩვენებლები განისაზღვრა შემდეგნაირად:

ბიუჯეტის ძირითადი მაჩვენებლები						
დასახელება	2021 წლის ფაქტი	2022 წლის გეგმა სულ	2023 წლის პროგნოზი, საკუთარი	2024 წლის პროგნოზი საკუთარი	2025 წლის პროგნოზი საკუთარი	2026 წლის პროგნოზი საკუთარი
შემოსავლები	14934.7	17020.91	10609.3	18920.0	19650.0	20500.0

გადასახადები	7562.1	8855.0	9889.3	10351.9	11218.62	12007.9
გრანტები	7053.8	7710.4	250	210	217	235
მ.შ. ახელმწიფო ბიუჯეტიდან მისაღები გრანტები	7053.8	7710.4	250	210	217	235
სხვა შემოსავლები	318.8	455.5	400	400	435	470
ხარჯები	7396.2	9172.06	9803.7	10099.6	10906.62	11779.1
შრომის ანაზღაურება	1557.6	2224.56	2743	3057.0	3301.56	3565.5
საქონელი და მომსახურება	1313.3	1732	1431	1377	1487.2	1606.2
პროცენტი	28.8	27.55	30	30	0	0
სუბსიდიები	3980	4506.87	4924.3	4992.1	5391.46	5822.77
გრანტები	-	00	00	00	00	00
სოციალური უზრუნველყოფა	414.7	542.26	610	561.6	606.52	655.0
სხვა ხარჯები	101.7	138.83	60	79	85	91
საოპერაციო საღებო	7538.5	7848.85	735.6	8820.4	8743.38	8720.9
არაფინანსური აქტივების ცვლილება	6041	10689.8	680	2645.0	2945.0	3245.0
ზრდა	6187.3	10759.8	750	842	909.0	982
კლება	146.3	70	70	70	70	70
მილიანი საღებო	1497.5	-2840.95	55.6	6175.4	5798.38	5475.9
ფინანსური აქტივების ცვლილება	-1553.1	-2896.55	00	00	00	00
კლება	1553.1	2896.55	00	00	00	00
ვალდებულებების ცვლილება	55.6	-55.6	55.6	55.6	0	0
კლება	55.6	55.6	55.6	55.6		
საშინაო	55.6	55.6	55.6	55.6		
ბალანსი	(0.00)	(0.00)	(0.00)	(0.00)	(0.00)	(0.00)
მუნიციპალიტეტის ხარჯების ზრდის პროცენტული მაჩვენებელი	5	6.6	8	8	8	8

შიდა პროდუქტის პროგნოზირებული ნომინალური ზრდის პროც. მაჩვენებლით (წყარო ქვეყნის ძირითადი ეკონომიკური და ფინანსური ინდიკატორები)	11.80	15.8	11.1	9.9	8.70	8.0
---	-------	------	------	-----	------	-----

მუნიციპალიტეტის 2021 წლის 1 იანვრისთვის გადმომავალი ნაშთი 1454,7ათ ლარია, რაც ძირითადად შედგება სახ. ბიუჯეტიდან გამოყოფილი განკარგულების გადმომავალი გაუხარჯავი ნაშთისგან -1060,7ათ. ლარი საკუთარი სახრებიდან გადმომავალი ნაშთი 394,3თ ლარი, რომელიც შედგება 2020წელს აღებული გადაუხდელი ვალდებულებისგან.

## 2.2 გასული 2021 წლის და მიმდინარე 2022 წლის ბიუჯეტის შესრულება

### 2021 წელი - ბიუჯეტის შესრულების ანალიზი

ცაგერის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტი დამტკიცდა საკრებულოს 2020 წლის 27 დეკემბრის №26 დადგენილებით და განისაზღვრა 7228.5ათასი ლარის ოდენობით.

შემდგომ, საფინანსო წლის განმავლობაში დამტკიცებულ ბიუჯეტში შეტანილ იქნა ცვლილებები საკრებულოს ნორმატიული აქტებით, რაც ეხებოდა: გრანტების სახით გამოყოფილი თანხების, წლის დასაწყისში არსებულ ვალდებულებათა ქვეშ მყოფი და თავისუფალი თანხების ბიუჯეტში ასახვას, ასევე ახალი კორონავირუსის გავრცელების შედეგად ეკონომიკის ფუნქციონირებაში გამოწვეული შეფერხებების შესაბამისად ბიუჯეტის ცვლილებას

განხორციელებული ცვლილებების შედეგად წლის ბოლოსათვის ბიუჯეტის დაზუსტებულმა მოცულობამ მთლიანობაში შეადგინა 16779.0 ათასი ლარი, მათ შორის საკუთარი შემოსავლები 8801.4 ათასი ლარი.

მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის შემოსულობების (შემოსავლები, არაფინანსური აქტივების კლება) და ნაშთი ცვლილების გეგმა განისაზღვრა 15324,7 ათასი ლარით, ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 15081,0 ათასი ლარი, ანუ გეგმის 98.0%-ი.

**გადასახადების** სახით მობილიზებულია 7562,1 ათასი ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის 7572,4 ათასი ლარის 99%. წინა წელთან შედარებით (ფაქტი – 6431,4 ათასი ლარი) მიმდინარე პერიოდში 1130,7 ათასი ლარით მეტი შემოსავალია მიღებული. აღნიშნული

გამოწვეულია გადასახადის გადამხდელთა პირადი აღრიცხვის ბარათების გაერთიანებით, რამაც გადამხდელებს საშუალება მისცა გადასახადის ერთ სახეობაში არსებული ზედმეტობით დაფაროს სხვა საგადასახადო ვალდებულება ან გამოიყენოს იგივე გადასახადში. აკუმულირებული თანხის უდიდესი ნაწილი დღგ-ს გადასახადზე მოდის. დღგ-ს გადასახადიდან მიღებულია 4630,4 ათასი ლარი.

**გრანტების** სახით მიღებულია 7053,8 ათასი ლარი, მათ შორის: მიზნობრივი ტრანსფერი დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად ჯანდაცვის სამსახურისთვის) – 89,3ათასი ლარი, სამხედრო სამსახურისთვის 62,3ათ ლარი, სკოლების მოსწავლეთა და სკოლების მცირე ინფრასტრუქტურული პროექტების რეაბილიტაციისათვის -369,2 ათ.ლარი, საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან კაპიტალური ტრანსფერის სახით მიღებულია - 5550,9 ათასი ლარი, სპეციალური ტრანსფერის სახით - 78,0 ათასი ლარი, სხვა კაპიტალური ტრანსფერი - 1005,7 ათ,ლარი

**სხვა შემოსავლების** სახით მობილიზებულია 318,8 ათასი ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის 317,1 ათასი ლარის 100,5%-ია. ათასი ლარი

დასახელება	2021 წელი			
	გეგმა	ფაქტი	+/-	%
<b>შემოსავლები</b>	<b>15178,8</b>	<b>14934,7</b>	<b>-244,1</b>	<b>98,4</b>
გადასახადები	7572,4	7562,1	-10,3	99,9
გრანტები	7289,3	7053,8	-235,5	96,8
სხვა შემოსავლები	317,1	318.8	1,7	100,5

**არაფინანსური აქტივების კლებიდან** 2021 წელს მობილიზებული იქნა 146,3 ათასი ლარის შემოსავალი, რაც გეგმის (145,9 ათასი ლარის) 100,3%-ია. მათ შორის: ძირითადი აქტივების გაყიდვიდან მიღებულია 58,1ათასი ლარი, არაწარმოებული აქტივების (მიწის) გაყიდვიდან - 88,2 ათასი ლარი. არაფინანსური აქტივების რეალიზაციიდან მიღებული თანხების წილი შემოსულობებში 0,01% შეადგენს.

2021 წლის დასაწყისისათვის ბიუჯეტის ანგარიშებზე არსებულმა ნაშთმა მთლიანობაში შეადგინა 1454,7 ათასი ლარი, ხოლო 2021 წლის ბოლოსათვის ბიუჯეტის ანგარიშებზე არსებულმა ნაშთმა მთლიანობაში შეადგინა 2896,5 ათასი ლარი.

**2021 წელს გადასახდელების** საკასო შესრულების მაჩვენებელი დაფიქსირდა - 81,3%-იანი რაც 13639,1 ათას ლარს შეადგენს, აღასანიშნავია, რომ ეს მაჩვენებელი 2020 წლის ანალოგიურ მაჩვენებელს აღემატება 1135.5 ათასი ლარით.



მმართველობა და საერთო დანიშნულების ხარჯებზე (ორგანიზაციული კოდი 01 00) ნაცვლად გეგმიური 2734,0 ათასი ლარისა გაიხარჯა 2437,9 ათასი ლარი, ე.ი. 89,2%

აღნიშნული პროგრამით დაფინანსდა შემდეგი მიმართულებები: 1. მმართველობითი ხარჯი: მუნიციპალიტეტის საკრებულოს საქმიანობა - 669.2 ათასი ლარი, მუნიციპალიტეტის მერია - 1706.4 ათასი ლარი, სამხედრო აღრიცხვისა და გაწვევის სამსახური (დელეგირებული ფუნქცია) – 62.3 ათასი ლარი (მიზნობრივი ტრანსფერი) 2. საერთო დანიშნულების ხარჯი: სარეზერვო ფონდიდან (გეგმა-70.0 ათასი ლარი) მერის გადაწყვეტილებით გახარჯულია 68.1 ათასი ლარი. მათ შორის:

მუნიციპალიტეტმა 2021წელს დაიფარა მუნიციპალური განვითარების ფონდისგან 2018 წელს აღებული სესხის თანხა 389,2 ათ.ლარის ოდენობით. სსიპ მუნიციპალური განვითარების ფონდიდან აღებული სესხის მომსახურებაზე გაიწია 84.4 ათასი ლარი, მათ შორის ძირითადი ვალდებულება შემცირდა 55.6 ათასი ლარით, მომსახურების პროცენტმა შეადგინა 28.8 ათასი ლარი,

ცაგერის მუნიციპალიტეტისა და საქართველოს ბიუჯეტის შემოსულობებისა და გადასახდელების განხილვა						
დასახელება	2019 წელი ფაქტი		2020 წელი ფაქტი		2021 წელი ფაქტი	
	ათას ლარებში	ერთ სულ მოსახლეზე	ათას ლარებში	ერთ სულ მოსახლეზე	ათას ლარებში	ერთ სულ მოსახლეზე
შრომის ანაზღაურება	1504,2	127,0	1544,1	130,36	1557,6	131,5
სხვა მიმდინარე ხარჯები	4996,7	421,8	5087,9	429,57	5894,2	497,65
კაპიტალური ხარჯები	8519,7	719,32	5871,6	495,74	6187,3	522,39
<b>გადასახდელები სულ</b>	<b>20512,8</b>	<b>1731,91</b>	<b>12503,6</b>	<b>1055,69</b>	<b>13639,1</b>	<b>1151,56</b>
<b>გადასახდელები სულ საქართველო</b>	<b>10,292,234.1</b>	<b>2,771.3</b>	<b>11,720,475.0</b>	<b>3,155.9</b>	<b>12,459,500.0</b>	<b>3,354.9</b>
შემოსავლები საკუთარი წყაროდან	6932,4	585,3	6737,4	568,84	7880,9	665,39
გრანტები (ტრანსფერები)	6497,3	548,57	5350,9	451,78	7053,8	595,55
<b>სულ შემოსავლები</b>	<b>13429,7</b>	<b>1133,88</b>	<b>12088,3</b>	<b>1020,62</b>	<b>14934,7</b>	<b>1260,95</b>
<b>სულ საქართველო</b>	<b>8,580,032.1</b>	<b>2,310.3</b>	<b>9,696,160.0</b>	<b>2,610.8</b>	<b>10,314,248.0</b>	<b>2,777.3</b>

ანალიზი ცხადყოფს, რომ როგორც შემოსავლები, ასევე გადასახდელები 2019 წლიდან 2021 წლამდე კოვიდ-19-ის პანდემიიდან გამომდინარე ერთ სულ მოსახლეზე გაანგარიშებით ცვალებადია და აღინიშნება უმნიშვნელო ზრდ. 2021 წელს შეადგენს შესაბამისად 1151,56 ლარს და 1260,95 ლარს.

მუნიციპალიტეტის 2021წლის ბიუჯეტით გამოყოფილი ასიგნებები ფუნქციონალური კლასიფიკაციის მიხედვით შემდეგნაირად მიიშრთა:

ცაგერის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტების ხარჯების სტრუქტორა ფუნქციონალურ ჭრილში (ათას ლარებში)		
დასახელება	2021 წელი	
საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურება	2320,1	16,9
თავდაცვა	62,3	0,4
ეკონომიკური საქმიანობა	5372,5	39,8
გარემოს დაცვა	474,5	3,4
საბინაო-კომუნალური მეურნეობა	2068,9	15,2
ჯანმრთელობის დაცვა	170,8	1,2
დასვენება და კულტურა	1758,6	12,9
განათლება	1009,1	7,4
სოციალური დაცვა	441,0	3,3
<b>სულ ხარჯები</b>	<b>13677,5</b>	<b>100.0</b>

მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის გადასახდელების დაფინანსებამ 13639.1 ათასი ლარი შეადგინა, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (16779) 81.3 პროცენტია. აღნიშნული მაჩვენებელი 2020 წლის ანალოგიურ მაჩვენებელს აღემატება 1135.5 ათასი ლარით.

პრიორიტეტების მიხედვით დაფინანსების სტრუქტურა შემდეგია:

ხარჯების სტრუქტურა პრიორიტეტების მიხედვით			
პროგ. კოდი	დასახელება	2021 ფაქტი	%
სულ	მუნიციპალიტეტის ასიგნებები	13639.1	100.0
01 00	მმართველობა და საერთო დანიშნულების ხარჯები	2437.9	17.9
02 00	ინფრასტრუქტურის განვითარება	7456.8	24.7
03 00	დასუფთავება და გარემოს დაცვა	459	3.4
04 00	განათლება	1009.1	7.4
05 00	კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტი	1746.1	12.8
06 00	ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა	530.2	3.9

ცაგერის მუნიციპალიტეტში 2021 წელს განხორციელებულია ინფრასტრუქტურული პროექტები:

სოფელ გვესოს და ქ.ცაგერის დამაკავშირებელი გზის რეაბილიტაციის სამუშაოები  
სოფელ ლასურიაშის და მახაშის გზის ასფალტო ბეტონის საფარის მოწყობა(გარდამავალი)  
სოფელ სპათაგორში სოფლის ცენტრის, სკოლისა და ლეშკედის მიმართულებით საავტომობილო გზის რეაბილიტაცია  
სოფ. ორბელში ზედა ორბელში „ჩეროს“ უბანში და „სვანიძეების“ უბანში საავტომობილო გზის რეაბილიტაცია  
სოფელ ჩხუტელში ასფალტირებული ცენტრალური გზიდან საჯარო სკოლის მიმართულებით საავტომობილო გზის რეაბილიტაცია  
სოფ. გაგულეჩში ორ უბანში საავტომობილო გზის რეაბილიტაცია  
სოფ. ჩხუტელში ცენტრალური ასფალტირებული საავტომობილო გზიდან კვირიკაშვილების უბნის საავტომობილო გზის რეაბილიტაცია  
სოფ. ლუხვანოში საავტომობილო გზის რეაბილიტაცია  
სოფ. ჩხუტელში გორის უბნის მისასვლელი"ღვინის გზის" რეაბილიტაცია  
სოფელ ზუზში სტიქიის სეგედაგ დაზიანებული გზის რკ.ბეტონის საფარის მოწყობის სამუშაოები  
სოფელ უსახელოში სტიქიის შეგედაგ დაზიანებული გზის რკ.ბეტონის საფარის მოწყობის სამუშაოები  
სოფელ ლაჯანა-ღუს მიმართულებით სტიქიისგან დაზიანებული „კინიშერი“-ის გზის რეაბილიტაცია  
სოფ.ტვიშიში ცენტრალური და შიდა სასოფლო გზების რეაბილიტაციის სამუშაოები  
სოფ.ჭალისთავში სასაფლაოს და მიმდებარე გზის რეაბილიტაცია და ჩიხში რკინა-ბეტონის საფარის მოწყობა  
სოფ.აღვის სასოფლო გზების რეაბილიტაციის სამუშაოები

სოფელ ორბელის წყლის სისტემის რეაბილიტაცია

სოფ. ზემო აღვის წყალმომარაგების სისტემის რეაბილიტაცია

ცაგერის მუნიციპალიტეტის სოფ.ჭალისთავის, წიფერჩის, ბარდნალის, ლარჩვალის და ქვ.ცაგერის ნაწილის წყალმომარაგების სისტემების მოწყობის სამუშაოები

სოფ.თაბორში მინი სტადიონის მოწყობა

ქ.ცაგერში თავისუფლების ქუჩის ჩიხის დაზიანებული კედლის აღდგენა

ლაჯანის საექიმო ამბულატორიის მოწყობის სამუშაოები

ქ.ცაგერში ცენტრალური სტადიონის დაზიანებული ღობის აღდგენა

- სოფ.ქვ.ღვირიშს ჩანჩქერთან მისასვლელი გზის რეაბილიტაცია

სოფ.ისინდერში უნებრივ მწვანე ჩანჩქერთან და ციხე-სიმაგრესთან მისასვლელი ბილიკის რეაბილიტაცია

ქ.ცაგერში მრავალფუნქციური სპორტული დარბაზის სახურავის რეაბილიტაცია

მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გარე განათების ქსელი ფუნქციონირებს ქ. ცაგერში და 58 სოფელში. ქვეპროგრამის ფარგლებში ხორციელდება მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განთავსებული 3900 სანათი წერტილის მოვლა-პატრონობა 151კმ/გრძვიმეტრი საკაბელო ხაზით.

გარე განათების ქსელის ექსპლოატაციის პროგრამა შედგება 2 ქვეპროგრამისაგან:

- გარე განათების ქსელი მოხმარებული ელექტროენერჯის ხარჯის ანაზღაურება;
- გარე განათების ქსელის მოვლა-პატრონობა;

გარე განათების ქსელის მოხმარებული ელექტროენერჯის ხარჯის ანაზღაურების ქვეპროგრამათვის გათვალისწინებული ასიგნებები ხმარდება ცაგერის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული მუნიციპალიტეტის ბალანსზე არსებული განათების წერტილების 3900 სანათი წერტილის მიერ მოხმარებული ელექტროენერჯის ხარჯების ანაზღაურებას.

გარე განათების ქსელის მოვლა-პატრონობის ქვეპროგრამის ფარგლებში მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებულის გარე განათების ქსელის გამართული

ფუნქციონირებისათვის ხორციელდება მისი პერიოდული შეკეთება, რომელიც მოიცავს:

- მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებულ ქსელში მწყობრიდან გამოსული ნათურების გამოცვლას;
- ამორტიზებული და დაზიანებული განათების ბოძების შეკეთება, ახლით ჩანაცვლებას;
- დაზიანებული სადენების აღდგენა, შეკეთებას.

2021 წლის განმავლობაში კვლავ აქტუალური რჩება შიდარაიონული ტრანსპორტის გამართული მუშაობის უზრუნველყოფა. საწვავისა და მარაგ ნაწილების სულ უფრო მზარდი ფასები ასახვას პოულობს მგზავრობის საფასურზე. პროგრამის ძირითადი დანიშნულებაა შიდარაიონული ტრანსპორტით მოსარგებლე მოსახლეობისათვის არსებული ტარიფის შენარჩუნება შესაბამისი ორგანიზაციის სუბსიდირების გზით, რასაც მნიშვნელოვანი სოციალური დატვირთვაც გააჩნია. ამ მიზნით 2021 წელსაც განხორციელდება ცაგერი-ტვიშის, ცაგერ-ლაილაში-თაბორის, ცაგერი-ღვირიშის, ცაგერი-ზოგიში, ცაგერი-ოყურეში, ცაგერი-ქულბაქი, ცაგერი-მახაში, ცაგერი-დეხვირი, ცაგერი-უსახელო და ცაგერი-აღვის მიმართულებებზე მომრავი საზოგადოებრივი ტრანსპორტისათვის საწვავის თანხის გამოყოფა და სუბსიდირების სახით გადაცემა. (გადაზიდვებს ახორციელებს შ.პ.ს. „საჭე-ცაგერი“) .ამავე პროგრამით ხორციელდება მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლების მოსწავლეთა ტრანსპორტირება

### დასუფთავება და გარემოს დაცვა

დასუფთავების და გარემოს დაცვა საანგარიშო პერიოდში დაფინანსდა 459 ათასი ლარით, რაც გეგმის 100 პროცენტია. გამოყოფილი სახსრებიდან 459 ათასი ლარი მოხმარდა მუნიციპალიტეტის დასუფთავებას და ნარჩენების გატანას, სკვერების, მწვანე ნარგავების მოვლა პატრონობა და სასაფლაოების დასუფთავებას მოხმარდა

პროგრამული კოდი	პროგრამის დასახელება	გეგმა	ფაქტი	პროცენტი
03 00	დასუფთავება და გარემოს დაცვა	459	459	100
03 01	დასუფთავება და ნარჩენების გატანა	459	459	100

სუბსიდია განისაზღვრა მუნიციპალიტეტის ტერიტორიის და მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული შენობის დასუფთავებისათვის. მუნიციპალიტეტის ტერიტორიიდან და მუნიციპალიტეტის სოფლებიდან განხორციელდა საყოფაცხოვრებო ნარჩენების გატანა; ყოველდღიურად იგვებოდა ქალაქის ქუჩები. განხორციელდა ქალაქისა და მუნიციპალურ ტერიტორიაზე არსებული სკვერების, მწვანე ნარგავების მოვლა-პატრონობა, ქ. ცაგერის ტერიტორიაზე ყოველდღიურად ხდება ქუჩების დაგვა-დასუფთავება. ყოველდღიურად დაგვილი, შეგროვილი და გატანილი მყარი ნარჩენების ოდენობა შეადგენდა საშუალოდ 16 მ.კუბს, რასაც ემსახურებოდა 13 მ.კუბიანი 2(ორი) ერთეული სპეც. ავტოსატრანსპორტო საშუალება.

ასევე მუნიციპალიტეტის სოფლებიდან ხდებოდა მყარი ნარჩენების შეგროვება -გატანა კვირაში ორჯერ, ნარჩენების გატანის საშუალო თვიური ჯამია: ქ. ცაგერში---236 მ. კუბი. სოფლები- 125 მ.კუბი. სულ: 361მ. კუბი.

შესყიდულია 30 ცალი ახალი 1100კგ ურნა და 10 ცალი 260მ/კუბის ტევადობის, რომლითაც ამოიცვალა ძველი მწყობრიდან გამოსული ურნები. პროგრამის ფარგლებში ხორციელდება მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სკვერების მოვლა, პატრონობა და გამწვანებითი ღონისძიებები,

## განათლება

მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განთავსებულ 16 სკოლამდელი-სააღმზრდელო დაწესებულებაში რეგისტრირებულია 255 აღსაზრდელი. დაფინანსდა აღსაზრდელთა დღეში სამჯერადი კვება. თითოეულ ბავშვზე კვების ხარჯმა დღეში საშუალოდ 2,75 ლარი შეადგინა.

13 ბაღში სტანდარტის მოთხოვნის შესაბამისად შეყვანილია და 2022 წელს 3 ბაღში გაგრძელდება სამფაზიანი ელენერგის შეყვანა, რათა უსაფრთხო გარემოს შექმნის მიზნით საზარეულოები გადავიდეს ელექტრო ქურებით სარგებლობაზე

განათლების სამინისტროდან მთავრობის #147 განკარგულებით გამოიყო 214,4ათ ლარი ცაგერის მუნიციპალიტეტის სოფლებიდან მოსწავლეთა ტრანსპორტირებისათვის, ტრანსპორტირების მომსახურებით ისარგებლა 417 მოსწავლემ და გაიხარჯა 214,4ათ ლარი. 2019წლის #27 განკარგულებით გადმომავალი ნაშთი 18,2ათ ლარი გაიხარჯა მოსწავლეთა ტრანსპორტირებისათვის,

**კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის** მიერ 2021 წელს ქვეანაში არსებული სიტუაციიდან გამომდინარე ნაწილობრივ განხორციელდა დაგეგმილი ღონისძიებები,

**ააიპ ცაგერის სასპორტო სკოლაში 2021 წლის განმავლობაში** სპორტული ღონისძიებისათვის დაიხარჯა 275800 ლარი., სპორტის შემდეგ სახეობებში:

კრივი - 2556 ლ 2021 წლის საქ პირველობაზე მოპოვებულია 2 მეორე და 2 მესამე ადგილები

ძიუდო - 6471 ლ 2021 წლის საქ. პირველობაზე მოპოვებულია / სხვადასხვა წონით კატეგორიებში / ,1- მეორე , 2-

მესამე ადგილი და 1 მეოთხე, რეგიონალურ ტურნირებში 2 - პირველი, 2 - მეორე და 3 მესამე ადგილი.

საერთაშორისო ტურნირზე 1პირველი და 1 მესამე ადგილი.

ქართული ჭიდაობა - 18197 ლ საქართველოს პირველობა 2 პირველი ადგილი, 2 მეორე, 2 მესამე და 4 მეოთხე

ადგილი, რესპუბლიკურ ტურნირებზე 2 პირველი, 2 მეორე, 3 მესამე და 4 მეოთხე ადგილები

სამბო - 2704 ლ საქ. პირველობაზე 2 მესამე ადგილი და 1 მეხუთე ადგილი

რაგბი - 3707 ლ ,სკოლასთან არსებობს ბავშვთა გუნდი, რომელიც მონაწილეობას იღებს რეგიონალურ

ფესტივალში.

მაგიდის ჩოგბურთი - 1195 ლ .

### ააიპ საფეხბურთი კლუბი ხვამლი 2021 წლის განმავლობაში

სპორტული ღონისძიებისათვის დაიხარჯა 95700 ლარი, ბავშვთა 2 გუნდი მონაწილეობას იღებს იმერეთის და რაჭა-ლეჩხუმის და ქვ, სვანეთის სამხარეო ღონისძიებებს, ა(ა)იპ-ში არსებობს ქალთა გუნდი.

### ააიპ ფრენბურთის გუნდი ცაგერი 2021 წლის განმავლობაში

სპორტული ღონისძიებისათვის დაიხარჯა 135800 ლარი, კერძოდ: ფუნქციონირებს ვაჟთა და ქალთა გუნდები რომლებიც მონაწილეობას იღებენ საქართველოს ჩემპიონატსა და სხვადასხვა რესპუბლიკურ ტურნირებში:

- რესპუბლიკური გათამაშება „საჩხერის თასი 2021“ – 2005-2006 წდაბად. ვაჟები მეოთხე ადგილი
- აჭარის ღია ჩემპიონატი 2004-2005 წ დაბ. ვაჟები - მეოთხე ადგილი
- საქართველოს ღია პირველობა ქვიშის ფრენბურთში (ორი გუნდი) - პირველი და მესამე ადგილი
- საქართველოს პირველობა ქვიშის ფრენბურთში - მეოთხე ადგილი
- საქართველოს ეროვნული ჩემპიონატი ქვიშის ფრენბურთში - პირველი ადგილი
- აჭარის ღია პირველობა საპლიაჟო ფრენბურთი 2005-2006 წ დაბ. ვაჟები - მეხუთე ადგილი
- რესპუბლიკური ტურნირი „გიგას თასი 2021წ“ შერეული წყვილები - მეოთხე ადგილი
- საქართველოს 2021წლის თასის გათამაშება ვაჟები - პირველი ადგილი
- საქართველოს 2021წლის თასის გათამაშება ქალები - მეოთხე ადგილი
- საქართველოს 30-ე ეროვნული ჩემპიონატი პირველი ტური - მეორე ადგილი.

**ცაგერის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურების სამსახურის მიერ განხორციელდა შემდეგი სოციალური პროგრამები:**

რისთვისაც მერიის ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურების სამსახური თავის მუშაობას წარმართავს 2022 წლის 20 იანვრის N4 დადგენილების ს შესაბამისად.

ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფის პროგრამები დაფინანსდა 99,4%-ით (გეგმა 536,1 ათასი, ფაქტი 530,2 ათასი ლარი). მათ შორის საზოგადოებრივი ჯანდაცვის დაფინანსებას მოხმარდა 89,3 ათასი ლარი, ხოლო სოციალურ დაცვას 441 ათასი ლარი.

**ა) საზოგადოებრივი ჯანდაცვის მომსახურება (პროგრამული კოდი 06 01)**

პროგრამის მიხედვით განხორციელდა ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის დელეგირებული უფლებამოსულობების ფარგლებში მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის ხელშეწყობა, ავადობის აქტიური გამოვლენა და დაავადებების აღმოფხვრის მიზეზთა და რისკფაქტორთა დადგენა, ასევე სანიტარულ-ჰიგიენური პირობების კონტროლი მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განთავსებულ შესაბამის ობიექტებზე.

**მოსახლეობის სოციალური დაცვა (პროგრამული კოდი 06 02)** პროგრამა ითვალისწინებს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობის სხვადასხვა ფენებისათვის გარკვეული შეღავათებითა და სოციალური დახმარებებით უზრუნველყოფას. სარიტუალო მომსახურების ხარჯების ანაზღაურებას, მოხუცებულთა, მიუსაფართა და სოციალურად დაუცველთა კვებით უზრუნველყოფას, დემოგრაფიული მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით მრავალშვილიანი ოჯახების დახმარებას და სხვა სოციალურ ღონისძიებებს, რომლებიც მთლიანობაში უზრუნველყოფენ მუნიციპალიტეტის მოსახლეობის სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესებას.

N	პროგრამის დასახელება	ბენეფიციარი	შენიშვნა
1	მრავალშვილიანი ოჯახების დახმარების პროგრამა	25	
2	ახალშობილთა დახმარება	2	დახმარება ხორციელდება ტყუპების შეძენის შემთხვევაში
3	სამედიცინო დახმარება	510	მათ შორის ონკოლოგიური პაციენტი -33



4	მოქალაქეთა უფასო კვებით უზრუნველყოფა	118	ყოველთვიურად სარგებლობს თითქმის ყველა ბენეფიციარი
5	ომის მონაწილე ვეტერანებისა და მათი ოჯახების დახმარების პროგრამა	61	
6	უპატრონო მიცვალებულთა სარიტუალო მომსახურების ხარჯი	9	
7	უსახლკარო და მძიმე საცხოვრებელ პირობებში მყოფი ოჯახების დროებითი თავშესაფრით უზრუნველყოფა	5	
8	სოციალურად დაუცველი ოჯახების ერთჯერადი დახმარება	164	
9	თირკმლის უკმარისობით დაავადებულთა დახმარება	10	
10	შშმ პირის სტატუსის მქონე ბენეფიციართა დახმარება(0-დან 18წლამდე)	7	
11	უმაღლესი სასწავლებლის მაღალი აკადემიური მოსწრების	17	

	სტუდენტის სწავლის წახალისება(I და II საფეხური)		
1	სულ	928	
2			

### 2022 წლის ბიუჯეტის 9 თვის მაჩვენებლები

მუნიციპალიტეტის 2022 წლის დაზუსტებული ბიუჯეტის შემოსულობების მოცულობა შეადგენს 10156,1 ათას ლარს. ბიუჯეტის შემოსავლების სახით 2022 წლის 9 თვის მონაცემებით მობილიზებულია 10149,8 ათასი ლარი, რაც წლიური გეგმის (13682 ათასი ლარი) 74.2%-ია, მათ შორის:

გადასახადების ფაქტიურმა შესრულებამ 9 თვეში შეადგინა 6730.8 ათასი ლარი, რაც წლიური გეგმის (6730,8 ათასი ლარი) 99,0%-ია;

გრანტების სახით ბიუჯეტში ჩარიცხულია 3084,1 ათასი ლარი, რაც წლიური გეგმის (6622,2 ათასი ლარი) 46,4%-ია, მიზნობრივი ტრანსფერი დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად -350,0 ათასი ლარი, საქართველოს სპეციალური ფონდიდან მიღებულია -57,7 ათასი ლარი; საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან კაპიტალური ტრანსფერის სახით - 2311,9 ათასი ლარი, სოფლის პროგრამა - 364,4

სხვა შემოსავლების სახით მობილიზებულია 334,9 ათასი ლარი, რაც წლიური გეგმის (257,5 ათასი ლარი) 130,1%-ია, მათ შორის: რენტის სახით მობილიზებულია 115,7 ათასი ლარი, საქონლისა და მომსახურების რეალიზაციიდან მიღებულია 22,9 ათასი ლარი, სანქციები (ჯარიმები და საურავები) -12,0 ათასი ლარი, შერეული და სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლებიდან მიღებულია 184,3 ათასი ლარი.

არაფინანსური აქტივები რეალიზაციიდან მობილიზებულია 6,3 ათასი ლარი, რაც გეგმის (52,5 ათასი ლარი) 12.0%-ია, მათ შორის: ძირითადი აქტივების გაყიდვიდან 0 ათასი ლარი, არაწარმოებული აქტივების (მიწის) გაყიდვიდან 6,3 ათასი ლარი, მატერიალური მარაგების გაყიდვიდან - 0 ათასი ლარი.

2022 წლის 1 იანვრისათვის ბიუჯეტის ანგარიშებზე არსებულმა ნაშთმა შეადგინა 2896,5 ათასი ლარი, ხოლო 9 თვეში ბიუჯეტის ანგარიშებზე არსებული ფულადი სახსრების გამოყენებამ შეადგინა -572,4 ათასი ლარი.

ცაგერის ბიუჯეტის 2020–2022 წლის შემოსულობების შესახებ (ათას ლარებში)			
	2020 წლის 9 თვე	2021 წლის 9 თვე	2022 წლის 9 თვე
<b>გადასახადები</b>	<b>6431,8</b>	<b>5594,8</b>	<b>6730,8</b>
ქონების გადასახადი	684,8	441,4	577,6
სხვა გადასახადები(დღგ)	5746,6	5153,4	6153,3
<b>გრანტები</b>	<b>5350,9</b>	<b>3308,1</b>	<b>3084,1</b>
<b>სხვა შემოსავლები</b>	<b>306,5</b>	<b>231,9</b>	<b>334,9</b>
შემოსავლები საკუთრებიდან	83,6	55,1	115,7
საქონლისა და მომსახურების რეალიზაცია	34,7	19,7	22,9
სანქციები (ჯარიმები და საურავები)	14,6	12,8	12
შერეული და სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლები	173,6	144,3	184,3
<b>არაფინანსური აქტივების კლება</b>	<b>170,5</b>	<b>145,9</b>	<b>6,3</b>
შემოსულობა ძირითადი აქტივების გაყიდვიდან	169,0	49,0	0
შემოსულობა არაწარმოებლური აქტივების (მიწის) გაყიდვიდან	1,5	87,9	6,3
<b>ფინანსური აქტივების კლება</b>	<b>-244,3</b>	<b>-457,5</b>	<b>572,4</b>
<b>სულ შემოსულობების ჯამი</b>	<b>12259,2</b>	<b>9280,7</b>	<b>10156,1</b>

მუნიციპალიტეტის 2022 წლის 9 თვის ბიუჯეტის გადასახდელების დაფინანსებამ 61,9 % შეადგინა (გეგმა 17420,9 ათასი ლარი, ფაქტი 10784,2 ათასი ლარი). ხარჯები მიმართული იქნა :

- ✓ ინფრასტრუქტურის ობიექტების მშენებლობა, ექსპლუატაცია –4942,8 ათასი ლარით;
- ✓ დასუფთავება გარემოს დაცვა –378,2 ათასი ლარით;
- ✓ განათლება – 982,4 ათასი ლარით;
- ✓ კულტურა, სპორტი და ახალგაზრდობა – 1392 ათასი ლარით;
- ✓ ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა – 486,1 ათასი ლარით;
- ✓ მმართველობა და საერთო დანიშნულების ხარჯი -2602,7ათასი ლარი,

გაგერის მუნიციპალიტეტის 2022 წლების ბიუჯეტების 9 თვის ხარჯების სტრუქტურა ფუნქციონალურ ჭრილში  
(ათას ლარებში)

ფუნქციონალ. კოდი	დასახელება	კვარტალური გეგმა (ნაზარდი ჯამი)	გადახდა
<b>00</b>	<b>ჯამური</b>		
00	ჯამური	17,441,822.60	10,794,511.83
<b>2</b>	<b>ხარჯები</b>	7,130,322.16	6,615,017.68
2.1	შრომის ანაზღაურება	1,809,216.00	1,641,505.73
2.2	საქონელი და მომსახურება	1,335,841.16	1,202,295.68
2.4	პროცენტი	18,000.00	14,546.00
2.5	სუბსიდიები	3,380,914.00	3,251,889.34
2.7	სოციალური უზრუნველყოფა	450,045.00	386,233.91
2.8	სხვა ხარჯები	136,306.00	118,547.02
2.8.2	ტრანსფერები, რომელიც სხვაგან არ არის კლასიფიცირებული	136,306.00	118,547.02
2.8.2.1	მიმდინარე ტრანსფერები, რომელიც სხვაგან არ არის კლასიფიცირებული	136,306.00	118,547.02
31	არაფინანსური აქტივების ზრდა	10,311,500.44	4,179,494.15
<b>7</b>	<b>მთლიანი ხარჯები</b>		
00	ჯამური	17,441,822.60	10,794,511.83

2	<b>ხარჯები</b>	7,130,322.16	6,615,017.68
2.1	შრომის ანაზღაურება	1,809,216.00	1,641,505.73
2.2	საქონელი და მომსახურება	1,335,841.16	1,202,295.68
2.4	პროცენტი	18,000.00	14,546.00
2.5	სუბსიდიები	3,380,914.00	3,251,889.34
2.7	სოციალური უზრუნველყოფა	450,045.00	386,233.91
2.8	სხვა ხარჯები	136,306.00	118,547.02
2.8.2	ტრანსფერები, რომელიც სხვაგან არ არის კლასიფიცირებული	136,306.00	118,547.02
2.8.2.1	მიმდინარე ტრანსფერები, რომელიც სხვაგან არ არის კლასიფიცირებული	136,306.00	118,547.02
31	არაფინანსური აქტივების ზრდა	10,311,500.44	4,179,494.15
<b>7.1</b>	<b>საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურება</b>		
00	ჯამური	2,763,215.23	2,517,345.78
2	<b>ხარჯები</b>	2,466,907.23	2,236,884.20
2.1	შრომის ანაზღაურება	1,703,965.00	1,557,455.99
2.2	საქონელი და მომსახურება	691,797.23	626,706.33
2.4	პროცენტი	18,000.00	14,546.00
2.7	სოციალური უზრუნველყოფა	10,645.00	10,636.02
2.8	სხვა ხარჯები	42,500.00	27,539.86
2.8.2	ტრანსფერები, რომელიც სხვაგან არ არის კლასიფიცირებული	42,500.00	27,539.86
2.8.2.1	მიმდინარე ტრანსფერები, რომელიც სხვაგან არ არის კლასიფიცირებული	42,500.00	27,539.86
31	არაფინანსური აქტივების ზრდა	296,308.00	280,461.58

<b>7.1.1</b>	<b>ადმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოების საქმიანობის უზრუნველყოფა, ფინანსური და ფისკალური საქმიანობა, საგარეო ურთიერთობები</b>		
00	ჯამური	2,752,461.23	2,517,345.78
2	<b>ხარჯები</b>	2,456,153.23	2,236,884.20
2.1	შრომის ანაზღაურება	1,703,965.00	1,557,455.99
2.2	საქონელი და მომსახურება	684,497.23	626,706.33
2.4	პროცენტი	14,546.00	14,546.00
2.7	სოციალური უზრუნველყოფა	10,645.00	10,636.02
2.8	სხვა ხარჯები	42,500.00	27,539.86
2.8.2	ტრანსფერები, რომელიც სხვაგან არ არის კლასიფიცირებული	42,500.00	27,539.86
2.8.2.1	მიმდინარე ტრანსფერები, რომელიც სხვაგან არ არის კლასიფიცირებული	42,500.00	27,539.86
31	არაფინანსური აქტივების ზრდა	296,308.00	280,461.58
<b>7.1.1.1</b>	<b>ადმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოების საქმიანობის უზრუნველყოფა</b>		
00	ჯამური	2,747,651.23	2,517,345.78
2	<b>ხარჯები</b>	2,451,343.23	2,236,884.20
2.1	შრომის ანაზღაურება	1,703,965.00	1,557,455.99
2.2	საქონელი და მომსახურება	679,687.23	626,706.33
2.4	პროცენტი	14,546.00	14,546.00
2.7	სოციალური უზრუნველყოფა	10,645.00	10,636.02
2.8	სხვა ხარჯები	42,500.00	27,539.86

2.8.2	ტრანსფერები, რომელიც სხვაგან არ არის კლასიფიცირებული	42,500.00	27,539.86
2.8.2.1	მიმდინარე ტრანსფერები, რომელიც სხვაგან არ არის კლასიფიცირებული	42,500.00	27,539.86
31	არაფინანსური აქტივების ზრდა	296,308.00	280,461.58
<b>7.1.1.2</b>	<b>ფინანსური და ფისკალური საქმიანობა</b>		
00	ჯამური	4,810.00	
2	<b>ხარჯები</b>	4,810.00	
2.2	საქონელი და მომსახურება	4,810.00	
<b>7.1.6</b>	<b>ვალთან დაკავშირებული ოპერაციები</b>		
00	ჯამური	10,754.00	
2	<b>ხარჯები</b>	10,754.00	
2.2	საქონელი და მომსახურება	7,300.00	
2.4	პროცენტი	3,454.00	
<b>7.2</b>	<b>თავდაცვა</b>		
00	ჯამური	76,240.00	57,576.34
2	<b>ხარჯები</b>	76,240.00	57,576.34
2.1	შრომის ანაზღაურება	66,240.00	54,301.74
2.2	საქონელი და მომსახურება	10,000.00	3,274.60
<b>7.2.1</b>	<b>შეიარაღებული ძალები</b>		
00	ჯამური	76,240.00	57,576.34
2	<b>ხარჯები</b>	76,240.00	57,576.34
2.1	შრომის ანაზღაურება	66,240.00	54,301.74
2.2	საქონელი და მომსახურება	10,000.00	3,274.60

<b>7.4</b>	<b>ეკონომიკური საქმიანობა</b>		
00	ჯამური	6,910,375.49	4,225,875.16
2	<b>ხარჯები</b>	744,998.93	700,423.34
2.2	საქონელი და მომსახურება	375,028.93	337,912.84
2.5	სუბსიდიები	369,970.00	362,510.50
31	არაფინანსური აქტივების ზრდა	6,165,376.56	3,525,451.82
<b>7.4.2</b>	<b>სოფლის მეურნეობა, სატყეო მეურნეობა, მეთევზეობა და მონადირეობა</b>		
00	ჯამური	297,771.45	290,090.06
2	<b>ხარჯები</b>	297,770.00	290,090.06
2.2	საქონელი და მომსახურება	7,800.00	7,293.00
2.5	სუბსიდიები	289,970.00	282,797.06
31	არაფინანსური აქტივების ზრდა	1.45	
<b>7.4.2.1</b>	<b>სოფლის მეურნეობა</b>		
00	ჯამური	297,771.45	290,090.06
2	<b>ხარჯები</b>	297,770.00	290,090.06
2.2	საქონელი და მომსახურება	7,800.00	7,293.00
2.5	სუბსიდიები	289,970.00	282,797.06
31	არაფინანსური აქტივების ზრდა	1.45	
<b>7.4.5</b>	<b>ტრანსპორტი</b>		
00	ჯამური	5,695,066.02	3,472,621.13
2	<b>ხარჯები</b>	442,828.93	408,561.58
2.2	საქონელი და მომსახურება	362,828.93	328,848.14
2.5	სუბსიდიები	80,000.00	79,713.44



31	არაფინანსური აქტივების ზრდა	5,252,237.09	3,064,059.55
<b>7.4.5.1</b>	<b>საავტომობილო ტრანსპორტი და გზები</b>		
00	ჯამური	5,695,066.02	3,472,621.13
2	<b>ხარჯები</b>	442,828.93	408,561.58
2.2	საქონელი და მომსახურება	362,828.93	328,848.14
2.5	სუბსიდიები	80,000.00	79,713.44
31	არაფინანსური აქტივების ზრდა	5,252,237.09	3,064,059.55
<b>7.4.9</b>	<b>სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა ეკონომიკის სფეროში</b>		
00	ჯამური	917,538.02	463,163.97
2	<b>ხარჯები</b>	4,400.00	1,771.70
2.2	საქონელი და მომსახურება	4,400.00	1,771.70
31	არაფინანსური აქტივების ზრდა	913,138.02	461,392.27
<b>7.5</b>	<b>გარემოს დაცვა</b>		
00	ჯამური	496,758.56	461,173.69
2	<b>ხარჯები</b>	407,200.00	388,497.55
2.2	საქონელი და მომსახურება	18,500.00	10,345.00
2.5	სუბსიდიები	388,700.00	378,152.55
31	არაფინანსური აქტივების ზრდა	89,558.56	72,676.14
<b>7.5.1</b>	<b>ნარჩენების შეგროვება, გადამუშავება და განადგურება</b>		
00	ჯამური	388,700.00	378,152.55
2	<b>ხარჯები</b>	388,700.00	378,152.55
2.5	სუბსიდიები	388,700.00	378,152.55

<b>7.5.2</b>	<b>ჩამდინარე წყლების მართვა</b>		
00	ჯამური	108,058.56	83,021.14
2	<b>ხარჯები</b>	18,500.00	10,345.00
2.2	საქონელი და მომსახურება	18,500.00	10,345.00
31	არაფინანსური აქტივების ზრდა	89,558.56	72,676.14
<b>7.6</b>	<b>საბინაო-კომუნალური მეურნეობა</b>		
00	ჯამური	4,101,073.32	633,875.46
2	<b>ხარჯები</b>	355,041.00	343,695.85
2.2	საქონელი და მომსახურება	210,760.00	200,743.09
2.5	სუბსიდიები	94,250.00	92,922.00
2.8	სხვა ხარჯები	50,031.00	50,030.76
2.8.2	ტრანსფერები, რომელიც სხვაგან არ არის კლასიფიცირებული	50,031.00	50,030.76
2.8.2.1	მიმდინარე ტრანსფერები, რომელიც სხვაგან არ არის კლასიფიცირებული	50,031.00	50,030.76
31	არაფინანსური აქტივების ზრდა	3,746,032.32	290,179.61
<b>7.6.2</b>	<b>კომუნალური მეურნეობის განვითარება</b>		
00	ჯამური	845,700.00	52,441.54
31	არაფინანსური აქტივების ზრდა	845,700.00	52,441.54
<b>7.6.3</b>	<b>წყალმომარაგება</b>		
00	ჯამური	777,622.91	147,681.45
2	<b>ხარჯები</b>	15,760.00	15,756.56
2.2	საქონელი და მომსახურება	15,760.00	15,756.56
31	არაფინანსური აქტივების ზრდა	761,862.91	131,924.89

<b>7.6.4</b>	<b>გარე განათება</b>		
00	ჯამური	195,000.00	184,986.53
2	<b>ხარჯები</b>	195,000.00	184,986.53
2.2	საქონელი და მომსახურება	195,000.00	184,986.53
<b>7.6.6</b>	<b>სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა საბინაო-კომუნალურ მეურნეობაში</b>		
00	ჯამური	2,282,750.41	248,765.94
2	<b>ხარჯები</b>	144,281.00	142,952.76
2.5	სუბსიდიები	94,250.00	92,922.00
2.8	სხვა ხარჯები	50,031.00	50,030.76
2.8.2	ტრანსფერები, რომელიც სხვაგან არ არის კლასიფიცირებული	50,031.00	50,030.76
2.8.2.1	მიმდინარე ტრანსფერები, რომელიც სხვაგან არ არის კლასიფიცირებული	50,031.00	50,030.76
31	არაფინანსური აქტივების ზრდა	2,138,469.41	105,813.18
<b>7.7</b>	<b>ჯანმრთელობის დაცვა</b>		
00	ჯამური	118,246.00	104,734.32
2	<b>ხარჯები</b>	118,246.00	104,734.32
2.1	შრომის ანაზღაურება	39,011.00	29,748.00
2.2	საქონელი და მომსახურება	3,450.00	2,234.50
2.5	სუბსიდიები	75,785.00	72,751.82
<b>7.7.4</b>	<b>საზოგადოებრივი ჯანდაცვის მომსახურება</b>		
00	ჯამური	118,246.00	104,734.32
2	<b>ხარჯები</b>	118,246.00	104,734.32

2.1	შრომის ანაზღაურება	39,011.00	29,748.00
2.2	საქონელი და მომსახურება	3,450.00	2,234.50
2.5	სუბსიდიები	75,785.00	72,751.82
<b>7.8</b>	<b>დასვენება, კულტურა და რელიგია</b>		
00	ჯამური	1,454,884.00	1,398,208.47
2	<b>ხარჯები</b>	1,448,559.00	1,395,383.47
2.2	საქონელი და მომსახურება	25,405.00	20,199.32
2.5	სუბსიდიები	1,418,309.00	1,371,035.25
2.7	სოციალური უზრუნველყოფა	800.00	408.00
2.8	სხვა ხარჯები	4,045.00	3,740.90
2.8.2	ტრანსფერები, რომელიც სხვაგან არ არის კლასიფიცირებული	4,045.00	3,740.90
2.8.2.1	მიმდინარე ტრანსფერები, რომელიც სხვაგან არ არის კლასიფიცირებული	4,045.00	3,740.90
31	არაფინანსური აქტივების ზრდა	6,325.00	2,825.00
<b>7.8.1</b>	<b>მომსახურება დასვენებისა და სპორტის სფეროში</b>		
00	ჯამური	436,150.00	431,606.99
2	<b>ხარჯები</b>	435,620.00	431,076.99
2.2	საქონელი და მომსახურება	6,250.00	6,250.00
2.5	სუბსიდიები	429,370.00	424,826.99
31	არაფინანსური აქტივების ზრდა	530.00	530.00
<b>7.8.2</b>	<b>მომსახურება კულტურის სფეროში</b>		
00	ჯამური	985,581.00	939,897.32
2	<b>ხარჯები</b>	979,786.00	937,602.32

2.2	საქონელი და მომსახურება	10,155.00	8,819.32
2.5	სუბსიდიები	964,786.00	924,634.10
2.7	სოციალური უზრუნველყოფა	800.00	408.00
2.8	სხვა ხარჯები	4,045.00	3,740.90
2.8.2	ტრანსფერები, რომელიც სხვაგან არ არის კლასიფიცირებული	4,045.00	3,740.90
2.8.2.1	მიმდინარე ტრანსფერები, რომელიც სხვაგან არ არის კლასიფიცირებული	4,045.00	3,740.90
31	არაფინანსური აქტივების ზრდა	5,795.00	2,295.00
<b>7.8.3</b>	<b>ტელერადიომაუწყებლობა და საგამომცემლო საქმიანობა</b>		
00	ჯამური	9,000.00	5,130.00
2	<b>ხარჯები</b>	9,000.00	5,130.00
2.2	საქონელი და მომსახურება	9,000.00	5,130.00
<b>7.8.4</b>	<b>რელიგიური და სხვა სახის საზოგადოებრივი საქმიანობა</b>		
00	ჯამური	24,153.00	21,574.16
2	<b>ხარჯები</b>	24,153.00	21,574.16
2.5	სუბსიდიები	24,153.00	21,574.16
<b>7.9</b>	<b>განათლება</b>		
00	ჯამური	1,041,800.00	982,417.22
2	<b>ხარჯები</b>	1,033,900.00	974,517.22
2.5	სუბსიდიები	1,033,900.00	974,517.22
31	არაფინანსური აქტივების ზრდა	7,900.00	7,900.00
<b>7.9.1</b>	<b>სკოლამდელი აღზრდა</b>		

00	ჯამური	968,300.00	917,543.21
2	<b>ხარჯები</b>	963,800.00	913,043.21
2.5	სუბსიდიები	963,800.00	913,043.21
31	არაფინანსური აქტივების ზრდა	4,500.00	4,500.00
<b>7.9.8</b>	<b>სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა განათლების სფეროში</b>		
00	ჯამური	73,500.00	64,874.01
2	<b>ხარჯები</b>	70,100.00	61,474.01
2.5	სუბსიდიები	70,100.00	61,474.01
31	არაფინანსური აქტივების ზრდა	3,400.00	3,400.00
<b>7.10</b>	<b>სოციალური დაცვა</b>		
00	ჯამური	479,230.00	413,305.39
2	<b>ხარჯები</b>	479,230.00	413,305.39
2.2	საქონელი და მომსახურება	900.00	880.00
2.7	სოციალური უზრუნველყოფა	438,600.00	375,189.89
2.8	სხვა ხარჯები	39,730.00	37,235.50
2.8.2	ტრანსფერები, რომელიც სხვაგან არ არის კლასიფიცირებული	39,730.00	37,235.50
2.8.2.1	მიმდინარე ტრანსფერები, რომელიც სხვაგან არ არის კლასიფიცირებული	39,730.00	37,235.50
<b>7.10.4</b>	<b>ოჯახებისა და ბავშვების სოციალური დაცვა</b>		
00	ჯამური	331,340.00	303,861.42
2	<b>ხარჯები</b>	331,340.00	303,861.42
2.2	საქონელი და მომსახურება	250.00	250.00

2.7	სოციალური უზრუნველყოფა	291,360.00	266,375.92
2.8	სხვა ხარჯები	39,730.00	37,235.50
2.8.2	ტრანსფერები, რომელიც სხვაგან არ არის კლასიფიცირებული	39,730.00	37,235.50
2.8.2.1	მიმდინარე ტრანსფერები, რომელიც სხვაგან არ არის კლასიფიცირებული	39,730.00	37,235.50
<b>7.10.7</b>	<b>სოციალური გაუცხოების საკითხები, რომლებიც არ ექვემდებარება კლასიფიკაციას</b>		
00	ჯამური	147,890.00	109,443.97
2	<b>ხარჯები</b>	147,890.00	109,443.97
2.2	საქონელი და მომსახურება	650.00	630.00
2.7	სოციალური უზრუნველყოფა	147,240.00	108,813.97

▪ 2022 წელს საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაციისათვის დაგეგმილია წლიური 1119,5 ათასი ლარი, გრძელდება საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარებისკენ მიმართული მრავალმხრივი სამუშაოები, რათა გაუმჯობესდეს ცენტრალური და შიდასაუბნო გზების მდგომარეობა;

▪ სტიქიით დაზიანებული გზების რეაბილიტაციისთვის გათვალისწინებულია 65,0 ათასი ლარი .

▪ მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობისათვის სკვერებისა და მინი მოედნების მოწყობის მიზნით მიიმართება 2196,3 ათასი ლარი

▪ კულტურის, სპორტის და სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების, შენობების კეთილმოწყობის, მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესების მიზნით გამოყოფილია 100,0 ათასი ლარი;

▪ მმართველობა და საერთო ხარჯები შეადგენს 2602,7ათ.ლარს, რაც მუნიციპალიტეტში მომუშავე თანამშრომელთა ანაზღაურებას -1611,8ათ ლარი, საერთო ხარჯი საქონელი და მომსახურებით -627,0ათ ლარი, სესხების მომსახურებასა და ვალების დაფარვაზე მიიმართება 55,6 ათასი ლარი. პროცენტი 30,0ათ ლარი, არაფინანსური აქტივები, სხვადასხვა ტექნიკის შესაძენად 280,5ათ ლარი და დეპუტატთა ხარჯების ანაზღაურებისთვის 25,7ათ ლარი.

▪ ჯანდაცვა და სოციალური მომსახურებისათვის დაგეგმილია 486,1ათ ლარი

### თავი III. მუნიციპალიტეტის პრიორიტეტები და პროგრამები საშუალოვადიან პერიოდში

## თვითმმართველი ერთეული ცაგერის მუნიციპალიტეტის განვითარების ხედვა

2022 წელს მსოფლიოში ახალი კორონავირუსის (COVID 19) პანდემიამ შეცვალა მსოფლიო ეკონომიკური განვითარების ტენდენცია.

კორონავირუსით გამოწვეულმა ნეგატიურმა მოვლენამ გავლენა იქონია საქართველოს ეკონომიკაზე და შესაბამისად ცაგერის მუნიციპალიტეტზე. მიუხედავად აღნიშნულისა ბოლო 3 წლის განმავლობაში ქვეყნის ძირითადი ეკონომიკური პარამეტრები მუდმივად გაუმჯობესების ტენდენციით ხასიათდებოდა და შესაბამისად იზრდებოდა ცაგერის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსულებები.

ზემოაღნიშნულმა პანდემიამ და მასთან დაკავშირებულმა ეკონომიკურმა რეცესიამ გავლენა მოახდინა საქართველოს ეკონომიკური პარამეტრების პროგნოზებზე და ბიუჯეტის, როგორც სამემოსავლო, ასევე ხარჯვით ნაწილებზე. 2020 წლის 21 მარტიდან 2020 წლის 22 მაისამდე ქვეყანაში გამოცხადებული საგანგებო მდგომარეობის ფონზე შეიზღუდა მთელი რიგი ეკონომიკური საქმიანობები, ჯანმრთელობის დაცვის და ვირუსით ინფიცირებულთა მკურნალობისა და დიაგნოსტიკისათვის საჭირო ხარჯებთან ერთად აუცილებელი გახდა მთელი რიგი ღონისძიებების გატარება მოსახლეობის სოციალური დაცვისა და ბიზნესის ხელშეწყობის მიზნით.

პანდემიასთან დაკავშირებით გაუარესდა როგორც ეკონომიკური, ასევე ფისკალური პროგნოზები. ამის გათვალისწინებით, მიმდინარე პერიოდში ქვეყნის მაკროეკონომიკური პოლიტიკა მიმართული იქნება ეკონომიკის გაჯანსაღებისკენ, რათა საშუალოვადიან პერიოდში ქვეყნის განვითარების დონე დაუბრუნდეს პოტენციურ მაჩვენებელს და უზრუნველყოს მაკროეკონომიკური სტაბილურობა.

2023-2026 წლებში ცაგერის მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ხელისუფლების მიერ გადადგმულმა ნაბიჯებმა უნდა შექმნას საშუალო ვადიან პერიოდში მუნიციპალიტეტის სოციალური და ეკონომიკური განვითარების მყარი საფუძვლები.

ამ მიზნის მისაღწევად მუნიციპალიტეტის განვითარების ხედვა ეფუძნება შემდეგ პრინციპებს:

ცაგერის მუნიციპალიტეტის ისტორიულად მიმზიდველი გარემოს შენარჩუნება და განვითარება. მისი ტურისტული პოტენციალის მაქსიმალური გამოვლენა. რაც გულისხმობს მიმზიდველი გარემოს შექმნას და ტურიზმის განვითარებით ცაგერის მოსახლეობის ეკონომიკურ გაუმჯობესებას.

წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოები ერთობლივად ყველა მიმართულებით გაატარებს ძირეულ და ინოვაციურ რეფორმებს. ამ რეფორმების შედეგად, მივიღებთ მცირე, მოქნილ და ეფექტიან მართველობით გუნდს, რომელიც მაქსიმალურად შეუწყობს ხელს მუნიციპალიტეტში საკუთარი შემოსავლების ზრდას და მობილიზებული სახსრების ეფექტურად განკარგვას.

ეფექტურად გაგრძელება ყველა ისეთი საჭირო კომუნიკაციების მშენებლობა რეაბილიტაცია, როგორცაა გზები, გარე განათება, წყალმომარაგება და სხვა ტურისტულად მიმზიდველი სიძველეების რეაბილიტაცია. რათა მაქსიმალურად ხელი შეეწოს ინვესტიციების მოზიდვას და ეკონომიკის განვითარებას.

განათლება, ახალგაზრდობა და ინოვაცია. განათლებული, მოტივირებული, სამეწარმეო სულისკვეთების მქონე, საკუთარ შესაძლებლობებში დარწმუნებული ახალგაზრდობა გახდება იმ მთავარი შედეგის მომტანი, რომელიც მუნიციპალიტეტს ჩააყენებს განვითარებული და ინოვაციური ეკონომიკის მქონე როგორც საქართველოს ასევე სხვა ქვეყანის წარმატებული მუნიციპალიტეტებს შორის. შესაბამისად, წახალისდება ისეთი ინოვაციური პროექტები რომელიც მოზარდი თაობის განვითარებას შეუწყობს ხელს.



როგორც ქვეყნის მთავრობისათვის ასევე მუნიციპალიტეტშიც ადამიანი და მასზე ზრუნვა იყო, არის და იქნება ჩვენი მთავარი ღირებულება. ამიტომ, გაგრძელდება და შეიქმნება ისეთი ახალი პროგრამები, რომელიც სოციალურად დაუცველ მოსახლეობაში გაზრდის ხელმისაწვდომობას სხვადასხვა სახელმწიფო თუ არასახელმწიფო სერვისების მიღებაზე.

### მუნიციპალიტეტის პრიორიტეტები

2022 წლის განმავლობაში მუნიციპალიტეტში მიმდინარეობდა სხვადასხვა აქტივობები, მათ შორის განხორციელდა მოსახლეობის გამოკითხვა, ჩატარდა სხვადასხვა კვლევები, სამოქალაქო საბჭოსთან და სხვა არასამთავრობო ორგანიზაციებთან გაიმართა შეხვედრები. შემუშავდა 2023 – 2026 წლების საშუალოვადიანი სამოქმედო გეგმა, ჩამოყალიბდა მუნიციპალიტეტის განვითარების ძირითადი მიმართულებები და გამოიკვეთა ბიუჯეტში გასათვალისწინებელი პრიორიტეტები და პროგრამები. მუნიციპალიტეტის პრიორიტეტული მიმართულებებია:

- ❖ ინფრასტრუქტურა;
- ❖ წარმომადგენლობითი და ღმასრულებელი ხელისუფლება;
- ❖ დასუფთავება და გარემოს დაცვა;
- ❖ განათლება;
- ❖ კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტი;
- ❖ ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა;

2023-2026 წლებში ასიგნებებისა და რიცხოვნობის ზღვრული ოდენობები პრიორიტეტების მიხედვით

პრიორ. კოდი	პრიორიტეტის დასახელება	2023წელი	2024წელი	2025წელი	2026წელი
	<b>მმართველობა და საერთო დანიშნულების ხარჯები</b>	<b>3934</b>	<b>4,885.0</b>	<b>4,975.0</b>	<b>4,895.0</b>
01 00	მ.შ. რიცხოვნობა	133	206	206	206
	მ.შ. ახალი ინიციატივები	100,0	250,0	150,0	30,0
	<b>ინფრასტრუქტურა</b>	<b>1438</b>	<b>5910</b>	<b>6210</b>	<b>6810</b>
02 00	მ.შ. რიცხოვნობა	30	245	250	250
	მ.შ. ახალი ინიციატივები	600,0	200,0	300,0	100,0
	<b>დასუფთავება და გარემოს დაცვა</b>	<b>640</b>	<b>1884.9</b>	<b>1987.6</b>	<b>2096.7</b>
03 00	მ.შ. რიცხოვნობა	114	100	100	100

	მ.შ. ახალი ინიციატივები	100,0	130,0	300,0	100,0
	<b>განათლება</b>	<b>1610</b>	<b>3360</b>	<b>3660</b>	<b>3660</b>
04 00	მ.შ. რიცხოვნობა	218	550	550	550
	მ.შ. ახალი ინიციატივები	100,0	100,0	300,0	50,0
	<b>კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტი</b>	<b>2275</b>	<b>3062</b>	<b>3115</b>	<b>3170</b>
05 00	მ.შ. რიცხოვნობა	427	390	400	400
	მ.შ. ახალი ინიციატივები	300,0	80,0	150,0	
	<b>ჯანმთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა</b>	<b>712.3</b>	<b>2136</b>	<b>2156</b>	<b>2206</b>
06 00	მ.შ. რიცხოვნობა	31	40	40	40
	მ.შ. ახალი ინიციატივები	250,0	170,0	100,0	50,0
	<b>სულ ჯამი</b>	<b>10609.3</b>	<b>21237.9</b>	<b>22103.6</b>	<b>22837.7</b>
	მ.შ. რიცხოვნობა	1490	1531	1546	1546
	მ.შ. ახალი ინიციატივები	1450,0	930,0	1300,0	330,0

### 3.1 ინფრასტრუქტურის განვითარება

ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	<p>ცაგერის მუნიციპალიტეტი დიდ ყურადღებას უთმობს ადგილობრივი კულტურულ საგანმანათლებლო ორგანიზაციების ხელშეწყობას. ამ მიზნით მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან ყოველწლიურად ასიგნებები გამოიყოფა კულტურის სფეროს დაწესებულებების პროგრამისათვის. პროგრამის შედგება ქვეპროგრამისაგან და იგი შესაბამისად ხორციელდება მუნიციპალური ა(ა)იპ-ის ბაზაზე, ეს არის:</p> <p>ა(ა)იპ - ცაგერის კულტურის ცენტრი. ქვეპროგრამის ფარგლებში ფუნქციონირებს და ფინანსდება გრ.მდივნის სახ.სახალხო თეატრი,სახალხო ანსამბლი „სალაღობო“,ბავშვთა ფოლკლორული ანსამბლი, ბავშვთა 2 ქორეოგრაფიული ანსამბლი,ქალთა ანსამბლი, მუსიკალური სტუდია, კამერული გუნდი, კულტურული ობიექტი „მწვანე თეატრი“,ქვეპროგრამის ფარგლებში ხდება სხვადასხვა თეატრალური გამოფენების მოწყობა, სპექტაკლების და საბავშვო მიუზიკლების დადგმა.</p> <p>ანსამბლები და თეატრი აქტიურ მონაწილეობას იღებენ, როგორც ცაგერის მუნიციპალიტეტში ასევე ქვეყნის სხვადასხვა რეგიონში და საზღვარგარეთ კონცერტებსა და ფესტივალებში.</p>					
მოსალოდნელი შედეგი	<p>- კულტურულ შემოქმედებით ცხოვრებაში მოსახლეობის ფართო მასების ჩართულობა, მოსახლეობაში ტრადიციული კულტურის პოპულარიზაცია, შემოქმედებითი უნარების განვითარება; თეატრალური სფეროსადმი, მოსახლეობის დაინტერესების ზრდა და ჩართულობის გაზრდა;</p>					

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	ა(ა)იპ ცაგერის ისტორიული მუზეუმი	2023 წლის დაფინანსება ათას ლარში	2024 წლის დაფინანსება ათას ლარში	2025 წლის დაფინანსება ათას ლარში	2026 წლის დაფინანსება ათას ლარში
	05 02 01 03		210	250	300	350

ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	<b>ა(ა)იპ ცაგერის ისტორიული მუზეუმი</b>
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	<p>ქვეპროგრამის ფარგლებში ფინანსდება ცაგერის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მოქმედი ცაგერის ისტორიული მუზეუმი.</p> <p>მუზეუმში დღეის მდგომარეობით განთავსებულია 7792 ექსპონატი. წლის განმავლობაში ვიზიტორთა რაოდენობა საშუალოდ შეადგენს 1000-ზე მეტს. განხორციელდება მუზეუმებში ინფრასტრუქტურული სამუშაოების ჩატარება,სამუზეუმო ექსპონატების აღწერა, საინვეტარო წიგნში გატარება, დაცვა, მოვლა-პატრონობა.ასევე მუზეუმების ფონდების აღრიცხვა-დამუშავება. ა(ა)იპ-ის ადმინისტრაციული პერსონალი შეძლებისდაგვრად უზრუნველყოფილია სამუშაო პირობებით (ხელფასი და სხვა). მუზეუმში წლის განმავლობაში მნიშვნელოვან თარიღებზე(იუბილეებზე) ეწყობა სხვადასხვა ღონისძიებები და გამოფენები. დავაინტერსოთ მოსახლეობა და ავამაღლოთ ცნობიერების დონე.</p>
მოსალოდნელი შედეგი	<p>- ქვეპროგრამის მიზანია მუზეუმის ექსპოზიციის განახლება - რეაბილიტაცია, ვიზიტორთა რაოდენობის გაზრდა, როგორც ადგილობრივი, ისე ტურისტების, მუნიციპალიტეტის ცნობადობის ამაღლება.</p>

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	<b>ააიპ ცაგერის სამუსიკო სკოლა</b>	2023 წლის დაფინანსება ათას ლარში	2024 წლის დაფინანსება ათას ლარში	2025 წლის დაფინანსება ათას ლარში	2026 წლის დაფინანსება ათას ლარში
	<b>05 02 03</b>		<b>90</b>	<b>90</b>	<b>100</b>	<b>110</b>
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	<b>ააიპ ცაგერის სამუსიკო სკოლა</b>					

ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	<p>სამუსიკო სკოლაში გაერთიანებულია: საფორტეპიანო, თეორიული, საგუნდო და სხვა მიმართულებები. სამუსიკო სკოლაში გაერთიანებულია 65 მოსწავლე. სამუსიკო სკოლაში სახელოვნებო სამუსიკო განათლებას იღებს ცაგერის მუნიციპალიტეტში მცხოვრები 65 ბავშვი. სკოლებში დასაქმებულია რაოდენობა შეადგენს 14(ადმინისტრაციული პერსონალი და პედაგოგები) თანამშრომელს. სკოლა ხელს უწყობს კლასიკური მუსიკის პოპულარიზაციას, ისწავლება ფორტეპიანო, ფუნქციონირებს კლასიკური მუსიკის გუნდი, მონაწილეობას იღებენ მუნიციპალიტეტის კულტურულ ღონისძიებებში, ასევე რეგიონულ ფესტივალებში. ქვეპროგრამის მიზანია შემოქმედებითი მიდრეკილების განვითარებისა და კულტურული მემკვიდრეობის შესწავლისათვის საჭიროა შესაბამისი პირობების შექმნა; განსაკუთრებული მუსიკალური ნიჭით დაჯილდოვებული მოსწავლეების გამოვლენა; სხვადასხვა ინსტრუმენტებზე შემსწავლელი წრეების ჩამოყალიბება; კულტურული ღონისძიებების ჩატარება მუნიციპალიტეტის მთელს ტერიტორიაზე; ფასიანი, საქველმოქმედო ღონისძიებების მოწყობა; მონაწილეობის მიღება ფესტივალებში, კონკურსებში, ფორუმებში.</p> <p>მუსიკალური განათლების უზრუნველყოფა, ბავშვების მომზადება სამომავლო შემოქმედებითი საქმიანობისთვის.</p>
მოსალოდნელი შედეგი	<ul style="list-style-type: none"> <li>- მუსიკალური განათლების უზრუნველყოფა</li> <li>- ღონისძიებებისა და კონცერტების გამართვა</li> </ul>

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	ააიპ სამხატვრო სკოლა	2023 წლის დაფინანსება ათას ლარში	2024 წლის დაფინანსება ათას ლარში	2025 წლის დაფინანსება ათას ლარში	2026 წლის დაფინანსება ათას ლარში
	05 02 04		70	70	75	80
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ააიპ სამხატვრო სკოლა					

ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	<p>სამხატვრო სკოლაში ისწავლება სახვითი ხელოვნების და გამოყენებითი ხელოვნების დარგები. სკოლაში სამხატვრო განათლებას მუნიციპალიტეტში მცხოვრები 50 ბავშვი. სკოლებში დასაქმებულთა რაოდენობა შეადგენს (ადმინისტრაციული პერსონალი და პედაგოგები)17თანამშრომელს.</p> <p>ქვეპროგრამა ზრუნავს მოზარდთა ესთეტიკური გემოვნების ჩამოყალიბებაზე და იგი ითვალისწინებს მოზარდი თაობის ინტერესებს, საშუალებას აძლევს მათ აირჩიონ სახვითი თუ გამოყენებითი ხელოვნების დარგები:ხატვა, თექა, ჭრა-კერვა, ხალიჩა-ფარდაგები,ეწყობა სხვადასხვა გამოფენები , როგორც სკოლის აღსაზრდელების , ასევე სკოლის კურსდამთავრებულების,გაცვლითი პროგრამა აქვს ონის სამხატვრო სკოლასთან.</p>
მოსალოდნელი შედეგი	<p>- სამხატვრო სკოლის პროფილების განვითარება, სასწავლო დონის ამაღლება, ხელოვნების მოყვარულ მოზარდთა კონტიგენტის გაზრდა. აღსაზრდელთა ჩართულობა გამოფენებში და სხვა შემოქმედებით ღონისძიებებში.</p> <p>- ღონისძიებებსა და ფესტივალებში მონაწილეობა</p>

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	ააიპ მთავარი ბიბლიოთეკა	2023 წლის დაფინანსება ათას ლარში	2024 წლის დაფინანსება ათას ლარში	2025 წლის დაფინანსება ათას ლარში	2026 წლის დაფინანსება ათას ლარში
	05 02 01 11		200	210	245	265
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ააიპ მთავარი ბიბლიოთეკა					
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	<p>მუნიციპალიტეტის 13 ბიბლიოთეკაში წიგნის ფონდი შეადგენს 141875 ერთეულს. ქვეპროგრამის მიზანია - საბიბლიოთეკო ფონდების შეგროვება, აღრიცხვა–დამუშავება და საკატალოგო მეურნეობის წარმოება საბიბლიოთეკო წესების შესაბამისად, მათი დაცვის უზრუნველყოფა;</p> <p>საცნობარო–ბიბლიოგრაფიული აპარატის სრულყოფა, საბიბლიოთეკო მაჩვენებლების შედგენა და სტატისტიკის წარმოება,მონაცემთა ბაზის შექმნა; საბიბლიოთეკო პროცესებში ელექტრონული საცნობარო აპარატის და მონაცემთა ბაზის (წიგნებისა და ჟურნალ–გაზეთების ელექტრონული კატალოგები, ელექტრონული წიგნები,</p>					

	<p>ჟურნალ-გაზეთების სტატიების ელექტრონული კატალოგები) შექმნა და სრულყოფა, ელექტრონული პროგრამების და ინფორმაციული ტექნოლოგიების დანერგვა, კომპიუტერული ქსელის და ქსელური აპარატურის ფუნქციონირების უზრუნველყოფა; მოქალაქეთა მომსახურება საბიბლიოთეკო ფონდებით, კატალოგებით, კარტოთეკებით, ელექტრონული რესურსებით, ტექნიკური საშუალებებით და ინტერენეტით უზრუნველყოფა.</p> <p>კულტურულ-საგანმანათლებლო და სამეცნიერო-ინფორმაციული ღონისძიებების, საკლუბო შეხვედრების, სპეციალიზირებული სემინარების და ტრენინგების მომზადება-ჩატარება, გამოფენების მოწყობა, საბიბლიოთეკო საქმიანობის წარმოება საერთაშორისო სტანდარტების და სახელმწიფო კანონმდებლობის შესაბამისად. ბიბლიოთეკებში ინფრასტრუქტურული სამუშაოების</p> <p>ქვეპროგრამის მიზანია ასევე ჩატარდეს ახალგამოცემული წიგნების წარდგენები, ლიტერატურული სადამოები, შემეცნებითი დისკუსიები, ცნობილი მწერლების დაბადების დღისადმი მიძღვნილი საიუბილეო სადამოები, ცაგერში მოღვაწე შემოქმედ, ღვაწლმოსილ და ცნობილ პიროვნებებთან შეხვედრები, ღირსშესანიშნავი თარიღებისადმი მიძღვნილი სადამოები „ბიბლიოთეკის კვირეული, ლექციები, კონფერენციები, სემინარები, საშობაო-საახალწლო შეხვედრები, მხატვრული, დოკუმენტური და ანიმაციური ფილმების ჩვენებები, საკლუბო შეხვედრები.</p> <p>ა(ა)იპ-ის ადმინისტრაციული პერსონალი შეძლებისდაგვრად უზრუნველყოფილია სამუშაო პირობებით (ხელფასი და სხვა). ქვეპროგრამის მთავარი მიზანია მოსახლეობის ცნობიერების ამაღლება, ჩართულობისა და დაინტერესების ზრდა. საბიბლიოთეკო ფონდის ზრდა, რომ დავაინტერესოთ მკითხველი და ავამაღლოთ ცნობიერების დონე.</p>
<p>მოსალოდნელი შედეგი</p>	<ul style="list-style-type: none"> <li>- მოსახლეობის ზრდა და ჩართულობა ცნობიერების ასამაღლებლად</li> <li>- მეტი ტურისტი რაც მუნიციპალიტეტის ცნობადობისთვის</li> </ul>

პროგრამის დასახელება	კოდი	კულტურის ღონისძიებები	2022 წლის დაფინანსება ათას ლარში	2023 წლის დაფინანსება ათას ლარში	2024 წლის დაფინანსება ათას ლარში	2025 წლის დაფინანსება ათას ლარში
	05 02 06		50	70	77	85
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	<b>გურჯაანის მუნიციპალიტეტის კულტურის, სპორტის, ახალგაზრდობისა და ძეგლთა დაცვის სამსახური</b>					
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	<p>პროგრამის მიზანია სხვადასხვა ტიპის ღონისძიებების გამართვა, ქართული კულტურული მემკვიდრეობის შენარჩუნება და ქართული ეროვნული ცეკვა-სიმღერის პოპულარიზაცია. მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახური ორიენტირებულია ხელი შეუწყოს მუნიციპალიტეტის პოპულარიზაციას სხვადასხვა ტიპის კულტურული ღონისძიებების გამართვის შედეგად, ისეთების, როგორცაა ფესტივალები, ფორუმები და ა.შ.</p> <p>ამასთან, სამსახური ცდილობს გამოიყენოს და დაანერგოს ის ინოვაციური მიდგომები, რომელიც გაზრდის შემოქმედებით საქმიანობას ადგილობრივად. ამასთან, ასევე ცდილობს, მოახდინოს კულტურული მიმართულებების ინტეგრაცია ისეთ მონათესავე მიმართულებებთან, როგორცაა მაგ: ტურიზმი და ა.შ.</p> <p>შესაბამისად, პროგრამა მოიცავს შემდეგ ქვეპროგრამებს:</p> <ol style="list-style-type: none"> <li>1. მუნიციპალიტეტის შესახებ, ცნობადობის ამაღლების კამპანიის წარმოება.</li> <li>2. ფესტივალების ორგანიზება, მუნიციპალიტეტის პოპულარიზაციის მიზნით.</li> <li>3. კონფერენციებისა და ფორუმების გამართვა.</li> <li>4. კულტურული ღონისძიებების განხორციელება.</li> </ol> <p>ქვეპროგრამების განხორციელება უზრუნველყოფს გენდერული ბალანსის დაცვას.</p> <p>გამომდინარე აქედან, ვფიქრობთ მივალწევთ ჩვენს მიერ დასახულ მიზანს, რომ ცაგერის მუნიციპალიტეტის ნიშა გახდეს როგორც მეღვინეობის, ასევე საფესტივალო ქალაქი და შესაბამისად, მოხდეს მუნიციპალიტეტის პოპულარიზაცია სწორედ კულტურული ღონისძიებების გამართვის შედეგად, რაც თავის მხრივ განაპირობებს ტურისტული ნაკადების გაძლიერებასა და ეკონომიკურ სიძლიერეს.</p>					
მოსალოდნელი შედეგი	<ul style="list-style-type: none"> <li>- მუნიციპალიტეტის პოპულარიზაცია</li> <li>- ტურიზმის განვითარება</li> </ul>					

პროგრამის დასახელება	კოდი	2023 წლის დაფინანსება ათას ლარში	2024 წლის დაფინანსება ათას ლარში	2025 წლის დაფინანსება ათას ლარში	2026 წლის დაფინანსება ათას ლარში
----------------------	------	----------------------------------	----------------------------------	----------------------------------	----------------------------------

	05 03	ახალგაზრდული ხელშეწყობა	ორგანიზაციების	290	300	330	360
ქვეპროგრამის განმახორც. სამსახური	ცაგერის მუნიციპალიტეტის კულტურის, სპორტის, ახალგაზრდობისა და ძეგლთა დაცვის სამსახური , ა(ა)იპ ახალგაზრდობის, საზოგადოებასთან ურთიერთობის და პერსპექტიული განვითარების ცენტრი						
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	<p>ქვეპროგრამების მიმართულებების ფარგლებში დაიგეგმება და განხორციელდება ისეთი პროექტები, რაც ერთის მხრივ გამოაცოცხლებს მუნიციპალიტეტს და გახდის მასშტაბური პროექტების მონაწილეს, ასევე, მეორეს მხრივ, შესაძლებლობას მისცემს ადგილობრივ ახალგაზრდობას, მონაწილეობა მიიღონ ახალგაზრდობისთვის არსებული პრობლემების გადაწყვეტაში და შეცვალონ შექმნილი გარემო უკეთესობისკენ.</p> <p>მუნიციპალიტეტში აქტიური ახალგაზრდობის უდიდეს წილს წარმოადგენენ მხოლოდ სკოლის ასაკის მოზარდები (18 წლამდე), ამიტომ ვფიქრობთ ისეთი ღონისძიებების განხორციელებას, რომლის ფარგლებშიც მონაწილეობას მიიღებენ 18 წელს ზემოთ ახალგაზრდებიც. შესაბამისად, ქვეპროგრამა მოიცავს შემდეგ ღონისძიებებს:</p> <p>1. ინტელექტუალური და საგანმანათლებლო ღონისძიებების ხელშეწყობა "რა? სად? როდის?", საგაზაფხულო სერია, 2. საგანმანათლებლო კვირეული, 3. ახალგაზრდული ფორუმი, სადებატო კლუბების ფარგლებში სხვადასხვა მიმართულებების განსაზღვრა და მისი განვითარება და ა.შ. შემოქმედებითი და სხვა ახალგაზრდული ღონისძიებების ხელშეწყობა (სხვადასხვა ტიპის დაჯილდოების ცერემონიალების გამართვა, წარმატებული ახალგაზრდების წახალისება და სხვა). ზემოთ ჩამოთვლილი ღონისძიებების განხორციელების შემთხვევაში, ვფიქრობთ მნიშვნელოვნად გაუმჯობესდება 18 წელს ზემოთ ახალგაზრდების გააქტიურება მუნიციპალიტეტში.</p>						
მოსალოდნელი შედეგი	<p>- ახალგაზრდების ჩართვა ღონისძიებებში</p> <p>- წარმატებული ახალგაზრდების გამოვლენა</p>						

კოდი	პროგრამის დასახელება	ტელე-რადიო მაუწყებლობა და საგამომცემლო საქმიანობა	2023 წლის დაფინანსება ათას ლარში	2024 წლის დაფინანსება ათას ლარში	2025 წლის დაფინანსება ათას ლარში	2026წლის დაფინანსება ათას ლარში
------	-------------------------	---	--	--	--	---------------------------------------



05 02 07			8	8	8	8
<b>პროგრამის განმახორციელებელი სამსახური</b>	ცაგერის მუნიციპალიტეტის მერია					
<b>პროგრამის აღწერა</b>	<p>პროგრამა ითვალისწინებს ადგილობრივი თვითმმართველობის განხორციელების ძირითადი პრინციპის, დემოკრატიის გზით გადაწყვეტილების მიღების პროცესში მოქალაქეთა ჩართულობის უზრუნველყოფას. რისთვისაც ერთ–ერთი საჭირო და მნიშვნელოვანი მექანიზმია მოსახლეობის ინფორმირება ადგილობრივი ხელისუფლების (როგორც წარმომადგენლობითი ისე აღმასრულებელი ორგანოს) მიერ მუნიციპალიტეტში გაწეული საქმიანობის შესახებ. მიმდინარე და დაგეგმილი პროექტების, პროგრამებისა და აქტივობების შესახებ სრული ინფორმაციის დროული გავრცელება. აღნიშნული მექანიზმის ეფექტიანად ამუშავებისათვის აუცილებელია ტელევიზიასთან მჭიდრო თანამშრომლობა, რომლის ფარგლებშიც მოხდება საკრებულოს სხდომების, ასევე ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენელთა საქმიანი შეხვედრებისა და გაერთიანებული თათბირების გაშუქება, რომელიც შეიცავს საზოგადოებისათვის საჭირო ინფორმაციებს. უზრუნველყოფილი იქნება საზოგადოებისათვის საჭირო ინფორმაციის გაცხადების სახით გავრცელება და სხვა მნიშვნელოვანი და აქტუალური თემების გაშუქება.</p>					
<b>პროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი</b>	<p>ადგილობრივი თვითმმართველობის განხორციელების ძირითადი პრინციპის, დემოკრატიის გზით გადაწყვეტილების მიღების პროცესში მოქალაქეთა ჩართულობის უზრუნველყოფა;</p>					

### 3.5 მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა

მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის ხელშეწყობა და მათი სოციალური დაცვა მუნიციპალიტეტის ერთ–ერთ მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენს. მუნიციპალიტეტი არსებული რესურსების ფარგლებში განაგრძობს სოციალურად დაუცველი მოსახლეობის დახმარებას და სხვადასხვა შეღავათებით უზრუნველყოფას. სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი მიზნობრივი ტრანსფერის ფარგლებში განაგრძობს საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის მიზნით სხვადასხვა ღონისძიებების განხორციელებას, რაც უზრუნველყოფს მუნიციპალიტეტის მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვას გადამდები და ინფექციური დაავადებებისაგან.

პროგრამული კოდი	დასახელება	სულ 2023-2026 წელი		2023 წელი		2024 წელი		2025 წელი		2026 წელი	
		ზღვრული დაფინანსება ფარგლებში	გაზრდილი დაფინანსება ფარგლებში	ზღვრული დაფინანსების ფარგლებში	გაზრდილი დაფინანსების ფარგლებში	ზღვრული დაფინანსების ფარგლებში	გაზრდილი დაფინანსების ფარგლებში	ზღვრული დაფინანსების ფარგლებში	გაზრდილი დაფინანსების ფარგლებში	ზღვრული დაფინანსების ფარგლებში	გაზრდილი დაფინანსების ფარგლებში
06 00	ჯანმთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა	3371.07	3371.07	712.3	712.3	817.61	817.61	880.9	880.9	960.26	960.26
06 01	ჯანმთელობის დაცვა	525.3	525.3	112.3	112.3	125	125	138	138	150	150
06 01 01	ააიპ საზოგადოებრივი ჯანდაცვის სამსახური	525.3	525.3	112.3	112.3	125	125	138	138	150	150
06 02	სოციალური დაცვა	2835.77	2835.26	600	600	682.61	682.61	742.9	742.9	810.26	810.26
06 02 02	მრავალშვილიანი ოჯახების დახმარება	135.18	135.18	30	30.000	32.400	32.400	34.992	34.992	37.792	32.779
06 02 02	სამედიცინო დახმარება	1040.53	1040.53	200	200	258.940	258.940	279.56	279.656	302.030	302.030
06 02 02	ომის ვეტერანთა და მათი ოჯახების დახმარების	41.84	41.84	10	10	10.0	10.0	10.500	10.5	11.340	11.340
06 02 02	უპატრონო მიცვალებულთა სარიტუალო მომსახურების დაფინანსება	26	26	6	6	6	6	7	7	8	8
06 02 02	უსახლკარო და მძიმე საცხოვრებელ პირობებში, უბედური შემთხვევისა და სტიქიური მოვლენების შედეგად დაზარალებული ოჯახების საცხოვრებელი ფართის ქირის გადასახადის თანადაფინანსება	25.04	25.04	4	4	6.480	6.480	7.000	7.000	7.560	7.560
06 02 02	ხანდაზმულ პირთა დახმარება	77.61	77.61	18	18	18.360	18.360	19.830	19.830	21.420	21.420
06 02 02	ერთჯერადი (ფულადი) სოციალური დახმარება	164.72	164.72	42.0	42	37.800	37.800	40.825	40.825	44.100	44.100

06 02 02	დიალიზის პროგრამით მოსარგებლე ბენეფიციართა, დაუნის სინდრომის, 0 - 7 წლამდე ასაკის აუტისტური სპექტრის აშლილობის და ადრეული განვითარების შეფერხების მქონე ბავშვთა სატრანსპორტო ხარჯის თანადაფინანსება	162.72	162.72	40.0	40.0	37.800	37.800	40.825	40.825	44.100	44.100
06 02 02	შშმ პირითა დახმარება	190	190	40.0	40.0	45	45	50	50	55	55
06 02 02	უმაღლესი სასწავლებლის სტუდენტის და პროფესიული სასწავლებლის მოსწვლის სწავლის საფასურის თანადაფინანსება	111.6	111.6	21.6	21.6	25	25	30	30	35	35
06 02 02	უკიდურესად შეჭირვებული და სოციალურად დაუცველი მოსახლეობის ყოველდღიური ერთჯერადი კვების პროგრამა მუნიციპალიტეტში	717.7	717.7	160.000	160.000	172.000	172.000	185.000	185.000	200.700	200.700
06 02 02	რეგისტრირებული მუდმივად მცხოვრები სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფი ორსულთა სრულფასოვანი კვება	47.87	48.67	15	15	17	17	19	19	21	21
06 02 02	მარტოხელა მშობლების დახმარება	10.57	10.57	3	3	2.332	2.332	2.520	2.520	2.720	2.720
06 02 02	ჩერნობილის ატომური სადგურის აფეთქებისშედეგად დაზარალებულების და 9 აპრილს მოწამლულთა დახმარება	5.9	5.9	1.4	1.4	1.5	1.5	1.5	1.5	1.5	1.5
06 02 02	დედ-მამით ობოლ ბავშვთა დახმარება	0	0	0	0	0	0	0	0	0	0
06 02 02	უკიდურესად შეჭირვებული და სოციალურად დაუცველი მოსახლეობის საშობაო და საარდგომო საჩუქრებით დახმარება	54	54	9	9	12	12	15	15	18	18

კოდი	პროგრამის დასახელება	ჯანდაცვის მუნიციპალური პროგრამა	2023 წლის დაფინანსება ათას ლარში	2024 წლის დაფინანსება ათას ლარში	2025 წლის დაფინანსება ათას ლარში	2026 წლის დაფინანსება ათას ლარში
06 01			112.3	125	138	150
	პროგრამის განმახორციელებელი სამსახური	<b>ა.ა.ი.პ ცაგერის საზოგადოებრივი ჯანდაცვის სამსახური</b>				
	პროგრამის აღწერა	სამოქმედო ტერიტორიაზე მოსახლეობის ჯანმრთელობის ხელშეწყობა და დაავადებების პრევენცია, საზოგადოებრივი ჯანდაცვის ოპერატიული (EPHo-10) ფუნქციების განხორციელების გზით;				
	პროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი	<p>მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის სისტემის წინაშე მდგარი ამოცანების შესრულება არსებული რეალობებისადმი მიდგომების ახლებურად გააზრებას და რადიკალურ გარდაქმნებს ითხოვს. საზოგადოებრივი ჯანდაცვის პრობლემათა გადაჭრა მოსახლეობის მომსახურების მრავალფეროვნებაში, არსებულ პირობებთან ადაპტირებაში, ჯანმრთელობისათვის მოსალოდნელი საფრთხეებისა და რისკების თავიდან აცილებაში მდგომარეობს. თვითმმართველი ერთეულების უფლებამოსილებები საზოგადოებრივი ჯანმრთელობის სფეროში არის: ა) საგანმანათლებლო, საადმზრდელო და საგანმანათლებლო-საადმზრდელო დაწესებულებებში სანიტარიული და ჰიგიენური ნორმების დაცვის ზედამხედველობა; ბ) მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე დაავადებების გავრცელების პრევენციის მიზნით დერატიზაციის, დეზინსექციისა და დეზინფექციის ღონისძიებათა ორგანიზება; გ) საგანმანათლებლო, საადმზრდელო და საგანმანათლებლო-საადმზრდელო დაწესებულებებში პრევენციული ღონისძიებების განხორციელების ხელშეწყობა; დ) მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განთავსებულ საზოგადოებრივი მნიშვნელობის დაწესებულებებში სანიტარიული ნორმების დაცვის ზედამხედველობა, მათ შორის, საზოგადოებრივი მნიშვნელობის დაწესებულებებში ესთეტიკური და კოსმეტიკური პროცედურების განმახორციელებელ დაწესებულებებში ინფექციების პრევენციისა და კონტროლის სანიტარიული ნორმების დაცვის კონტროლი; ე) პროფილაქტიკური აცრების ეროვნული კალენდრით განსაზღვრული იმუნოპროფილაქტიკისათვის საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ მიწოდებული მასალების მიღების, შენახვისა და განაწილების უზრუნველყოფა სამედიცინო მომსახურების მიმწოდებლებისათვის; ვ) პრევენციული და ეპიდემიოლოგიური კონტროლის ღონისძიებების გატარება ეპიდსამიშროებისას; ზ) მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე პირველადი</p>				

	<p>ეპიდკვლევის ხელშეწყობა; თ) „ტუბერკულოზის კონტროლის შესახებ“ საქართველოს კანონით მათთვის განსაზღვრული უფლებამოსილებების განხორციელება.</p> <p>პროგრამა შედგება შემდეგი ღონისძიებებისგან:</p> <p>1 ეპიდზედამხედველობა (მათ შორის ტუბერკულოზის კონტროლის პროგრამა) (მალარიისა და პარაზიტოლოგიურ დაავადებათა კონტროლი)</p> <p>2 იმუნიზაცია.</p> <p>3 ცხოვრების ჯანსაღი წესის განვითარების ხელშეწყობა</p> <p>4 მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განთავსებულ საზოგადოებრივი მნიშვნელობის დაწესებულებებში სანიტარიული ნორმების დაცვის ზედამხედველობა.</p> <p>პროგრამის მიზანია: მეთვალყურეობა მუნიციპალიტეტის მოსახლეობის ჯანმრთელობაზე, ჯანმრთელობის რისკებისა და საგანგებო სიტუაციების მონიტორინგი და რეაგირება; მოსახლეობის ჯანმრთელობის შენარჩუნება და საგანგებო სიტუაციების ლოკალიზება.</p>
--	---

შეფასების ინდიკატორები							
საბოლოო შედეგი (OUTCOME)	2022 საბაზისო	2023	2024	2025	2026	სტრატეგიული მიზანი	შეფასების მაჩვენებელი
დაავადებათა გამოვლენის შემკობხვევების რაოდენობა	1792	1800	1800	1800	1800	დროულად მოხდეს პრევენცია	რაოდენობრივი
შუალედური შედეგი (OUTPUT)		2023	2024	2025	2026	სტრატეგიული მიზანი	შეფასების მაჩვენებელი
იმუნიზაციის ღონისძიებების ხარჯი (ცივი ჯაჭვის ლოჯისტიკი)	1589,2					ჯანმთელი მოსახლეობა	თანხობრივი

ა(ა)იპ ცაგერის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის პროგრამის 2023წლის ბიუჯეტის წინასწარი გათვლები  
(ხარჯთაღრიცხვა)

დასახელება	თანხა ათას ლარში
სახელფასო ფონდი	51.4
შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურება	51.7
მივლინება	0
ოფისის ხარჯი	3.2
კომუნალური ხარჯები	1.3
ჰიგიენური და სადენზიფიკაციო საშუალებების ხარჯი	0
ტრანსპორტის ხარჯი	1.5
სატელეკომუნიკაციო და ინტერნეტმომსახურების ხარჯი	1.2
სხვა საქონელისა და მომსახურების ხარჯი	2.0
არაფინანსური აქტივის შემენის ხარჯი	

სოციალური დაცვა

პროგრამა ითვალისწინებს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობის სხვადასხვა ფენებისათვის გარკვეული შეღავათებისა და სოციალური დახმარებების გაცემას. მზრუნველობამოკლებულთა უზრუნველყოფას უფასო კვებითა და თავშესაფრით, დემოგრაფიული მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით მრავალშვილიანი ოჯახების დახმარებას, სხვა სოციალური პროგრამებს, რომლებიც უზრუნველყოფს მუნიციპალიტეტის მოსახლეობის სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესებას.

პროგრამის დასახელება, რის ფარგლებშიც ხორციელდება ქვეპროგრამა:	სოციალური პროგრამა			
ქვეპროგრამის კლასიფიკაციის კოდი:				06 02 02
ქვეპროგრამის დასახელება:	მრავალშვილიანი ოჯახების დახმარება			
არის ქვეპროგრამა ახალი?			კი	არა
ქვეპროგრამის განმახორციელებელი:	ჯანდაცვის და სოციალური მომსახურების სამსახური			
დაფინანსების წყარო	2023	2024	2025	2026
მუნიციპალიტური ბიუჯეტი	30.0	32.4	34.9	37.8
მიზანი და აღწერა	ქვეპროგრამის მიზანია მძიმე სოციალური ფონის გამო მრავალშვილიანი ოჯახების ეკონომიური მდგომარეობის გაუმჯობესების ხელშეწყობა და წახალისება. ქვეპროგრამის მოსრებულე სამიზნე ჯგუფია ცაგერის მუნიციპალიტეტში ფაქტიურად მცხოვრები მრავალშვილიანი ოჯახი, რომელთაც ჰყავთ 4 (ოთხი) და მეტი შვილი. დახმარება გაიცემა მე-4 და ყოველ შემდეგ ბავშვზე თვეში 100 (ასი) ლარის ოდენობით. მრავალშვილიან ოჯახებზე დახმარება გაიცემა განცხადებით მიმართვის თვიდან. 18 წლის შესრულების შემთხვევაში არასრულწლოვან ბავშვზე დახმარება ოჯახს შეუწყდება მომდევნო თვის პირველი რიცხვიდან.			

პროგრამის დასახელება, რის ფარგლებშიც ხორციელდება ქვეპროგრამა:	სოციალური პროგრამა		
ქვეპროგრამის კლასიფიკაციის კოდი:			06 02 02

ქვეპროგრამის დასახელება:		ობოლი ბავშვების ფულადი დახმარება		
არის ქვეპროგრამა ახალი?		კი	არა	
თუ ქვეპროგრამა ახალია ვინ წარმოადგინა?				
ქვეპროგრამის განმახორციელებელი:		ჯანდაცვის და სოციალური მომსახურების სამსახური		
დაფინანსების წყარო	2023	2024	2025	2026
მუნიციპალიტური ბიუჯეტი	0	0	0	0
სულ ქვეპროგრამა				
მ.შ. კაპიტალური პროექტები	0	0	0	0
მიზანი და აღწერა	ქვეპროგრამის მიზანია , რომ მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან ერთჯერადი მატერიალური დახმარება მიეცეს ცაგერის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებულ 18 წლამდე ასაკის ბავშვებს, რომლებიც დედ-მამით ობოლი არიან. დახმარება განისაზღვრება 400 ლარის ოდენობით.			

პროგრამის დასახელება, რის ფარგლებშიც ხორციელდება ქვეპროგრამა:	სოციალური პროგრამა			
ქვეპროგრამის კლასიფიკაციის კოდი:				06 02 02
ქვეპროგრამის დასახელება:	ჩერნობილის ატომური აფეთქების და 1989 წლის 9 აპრილის დროს დაზარალებულების ერთჯერადი დახმარება			
არის ქვეპროგრამა ახალი?	კი	არა		
ქვეპროგრამის განმახორციელებელი:	ჯანდაცვის და სოციალური მომსახურების სამსახური			
დაფინანსების წყარო	2023	2024	2025	2026
მუნიციპალიტური ბიუჯეტი	1.4	1.17	1.26	1.36
სულ ქვეპროგრამა				



მ.შ. კაპიტალური პროექტები				
მიზანი და აღწერა	<p>პროგრამის მიზანია , რომ მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან ერთჯერადი ფინანსური დახმარება მიეცეს ცაგერის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებულ იმ ბენეფიციარებს, რომლებიც:</p> <p>ა) 1989 წლის 9 აპრილს მშვიდობიანი აქციის დარბევის დროს მოიწამლენ და აქვთ შესაბამისი სტატუსი;</p> <p>ბ) უკრაინის ქ. ჩერნობილის ავარიის დროს(იმყოფებოდნენ ან ასრულებდნენ სალიკვიდაციო სამუშაოებში) მოიწამლნენ და აქვთ შესაბამისი სტატუსი.</p> <p>2. დახმარება განისაზღვროს 300 ლარის ოდენობით</p>			

პროგრამის დასახელება, რის ფარგლებშიც ხორციელდება ქვეპროგრამა:	სოციალური პროგრამა			
ქვეპროგრამის კლასიფიკაციის კოდი:				06 02 02
ქვეპროგრამის დასახელება:	შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვების ფინანსური დახმარება			
არის ქვეპროგრამა ახალი?	კი	არა		
ქვეპროგრამის განმახორციელებელი:	ჯანდაცვის და სოციალური მომსახურების სამსახური			
დაფინანსების წყარო	2023	2024	2025	2026
მუნიციპალიური ბიუჯეტი	40	32.4	35.0	37.8
სულ ქვეპროგრამა				
მიზანი და აღწერა	<p>პროგრამის მიზანია მოსარგებლე პირთა ფინანსური მხარდაჭერა. პროგრამის მოსარგებლეები: 0-18 წლამდე ასაკიან შშმ პირებზე 300 ლარის ოდენობით</p>			
ქვეპროგრამის/ღონისძიების დასახელება	2023	2024	2025	2026

1) დაუნის სინდრომის, 0-7 წლამდე ასაკის აუტისტური სპექტრის აშლილობის და ადრეული განვითარების შეფერხების მქონე ბავშვთა სამედიცინო რეაბილიტაციის თანადაფინანსება.	40	32.4	35.0	37.8
--	----	------	------	------

პროგრამის დასახელება, რის ფარგლებშიც ხორციელდება ქვეპროგრამა:	სოციალური პროგრამა			
ქვეპროგრამის კლასიფიკაციის კოდი:				06 02 02
ქვეპროგრამის დასახელება:	სამედიცინო დახმარების თანადაფინანსება			
არის ქვეპროგრამა ახალი?			კი	არა
ქვეპროგრამის განმახორციელებელი:	ჯანდაცვის და სოციალური მომსახურების სამსახური			
დაფინანსების წყარო	2023	2024	2025	2026
მუნიციპალიტური ბიუჯეტი	200	258.94	279.63	302.03
მიზანი და აღწერა	<p>მიზანი: მოსახლეობისათვის სამედიცინო მომსახურებაზე (სტაციონალური და ამბულატორიული მკურნალობა, გამოკვლევები) ხელმისაწვდომობის გაზრდის მიზნით თვითმმართველობის მხრიდან ფინანსური მხარდაჭერის განხორციელება.</p> <ol style="list-style-type: none"> <li>სხვადასხვა სახის მძიმე ოპერაციების (ონკოლოგიური, ტრამვატოლოგიური, კარდიო-ქირურგიული, ნეიროქირურგიული, ენდოკრინოლოგიური, ოთალმოლოგიური, უროლოგიური, მუცლის ღრუს) თანადაფინანსება, რომელიც არ ფინანსდება დაზღვევით ან ფინანსდება დაზღვევით, მაგრამ ძვირად ღირებულია(400ლარზე მეტი) სეხელმწიფო დაზღვევის მოსარგებლე ბენეფიციარებისათვის, მათი მხრიდან გადასახდელი თანხის 50%-ით, მაგრამ არაუმეტეს 1500(ათასხუთასი) ლარისა.</li> <li>სხვადასხვა სახის სამედიცინო გამოკვლევების თანადაფინანსება, რომლებით არ ფინანსდება დაზღვევით ან ფინანსდება დაზღვევით, მაგრამ ძვირადღირებულია (300ლარზე მეტი) პირის გადასახდელი თანხის 50% არაუმეტეს 1500(ათასხუთასი) ლარისა.</li> <li>ონკოლოგიურ პაციენტებს, რომელთაც ჩაუტარდათ ქიმიოთერაპია ან სხივური</li> </ol>			

თერაპია, რომლებიც არ ფინანსდება დაზღვევით ან ფინანსდება დაზღვევით, მაგრამ ძვირადღირებულია (400 ლარზე მეტი), დაუფინანსდებათ პაციენტის მიერ გადახდილი თანხის 50%, არაუმეტეს 1000 ლარისა

4. ოჯახებს, რომელთა მატერიალური შემოსავალი ფიქსირდება 1500 ლარი და მეტი, ამ მუხლის პირველი, მეორე და მესამე პუნქტით დახმარება არ გაეწევა.

5. თუ ბენეფიციარს დახმარების მიღების უფლება წარმოეშვა ამ დებულებით განსაზღვრული მე-8 მუხლის პირველი, მეორე და მესამე პუნქტებით, ფულადი დახმარება გაიცემა იმ პუნქტით, რომელიც თანხობრივად მეტია.

6. სხვა მძიმე დაავადებები:

ა) მუნიციპალიტეტში მცხოვრები ეპილეფსიით დაავადებული პაციენტები.

ბ) მუნიციპალიტეტში მცხოვრები პარკინსონით დაავადებული პაციენტები.

გ) თავის ტვინის სისხლის მიმოქცევის მოშლით დაავადებული პაციენტი, მძიმე ფორმის. იშემიური და ჰემორაგიული ინსულტი, (დისცირკულატორული ენცეფალოპათია მე-2, მე-3 ხარისხი). ახალი შემთხვევა 1 წლამდე.

დ) შაქრიანი დიაბეტით ტიპი 1– 2, მძიმე მიმდინარეობით, გართულებული მხედველობის, გულის, თირკმლის, ტვინის სისხლძარღვების ანგიოპათიით.

ე) სასუნთქი გზების ქრონიკული დაავადებები. სუნთქვის უკმარისობა 2 ხარისხით.

ვ) გულის იშემიური დაავადებები. შუნტირებისა და სტენტირების შემდგომი პერიოდი. (ახალი შემთხვევა 1 წლამდე, გულის ქრონიკული უკმარისობა მე-2, მე-3 ხარისხი.)

ზ) ტოქსიური ჩიყვი მძიმე მიმდინარეობით. (ფორმა-100 შევსებული ენდოკრინოლოგის ან ენდოკრინოლოგის კონსულტაციაზე დაყრდნობით.)

- თ) რევმატიზმი მძიმე მიმდინარეობით, ხშირი გამწვავებებით გართულებული გულის მანკით- გულის უკმარისობა მე-2 ხარისხის, თავის ტვინის რევმატიზმი მძიმე მიმდინარეობით.
- ი) კუჭისა და თორმეტგოჯა ნაწლავის წყლულოვანი დაავადება მძიმე ფორმით.(გართულებული სისხლდენით და პერფორაციით)
- კ) მუნიციპალიტეტში მცხოვრები ცერემბრალური დამბლით და სხვა პარალიზირებული სინდრომებით დაავადებული პაციენტები.
- ლ) შემაერთებელი ქსოვილის სისტემური დაავადებები, საყრდენ-მამოძრავებელი სისტემის დაავადებები მძიმე მიმდინარეობით, სახსრების ფუნქციის მნიშვნელოვანი მოშლით.
- მ) სისხლისა და სისხლმზადი ორგანოების დაავადებები მძიმე მიმდინარეობით, ხშირი გამწვავებებით.
- ნ) ონკოლოგიური დაავადებები მე-2,მე-3 ,მე-4 სტადია, ქიმიო-თერაპიისა და სხივური თერაპიის შემდგომი პერიოდი.(ფორმა-100 (ონკო-ცენტრიდან) შევსებული ონკოლოგის ან ონკოლოგის კონსულტაციაზე დაყრდნობით) დაავადების გამოვლენიდან 5 წლის განმავლობაში ან რეციდივის არსებობისას.
- ო) სხვადასხვა სახის უბედური შემთხვევების დროს მიღებული დაზიანებების მკურნალობა.(ტრავმები, მოწამვლები, გარეშე ფაქტორებით გამოწვეული დაზიანებები-1 წლამდე).
- პ) კანის დაავადებები მძიმე მიმდინარეობით, ხშირი გამწვავებებით.
- ჟ) ღვიძლის ციროზი დეკომპენსირებული, ასციტი.
- რ) ქრონიკული, არტერიული და ვენური სისხლის მიმოქცევის უკმარისობა მე-3, მე-4 სტადია. მძიმე მიმდინარეობით.(ფორმა 100 შევსებული უნდა იყოს ანგიოლოგის მიერ ან ანგიოლოგის კონსულტაციაზე დაყრდნობით).

	<p>ს) თანდაყოლილი ანომალიები, დეფორმაციები და ქრომოსომული დაავადებები, აუტისტური სპექტრის პირები</p> <p>ტ) თირკმლის დაავადებები მძიმე მიმდინარეობით, თირკმლის ქრონიკული უკმარისობით. მე-3-მე-4 სტ.</p> <p>უ) უსინათლო ინვალიდები.</p> <p>7. ოჯახს დახმარება გაეწევა ერთჯერადად <b>150-დან 300 ლარამდე</b> საბჭოს გადაწყვეტილებით.</p>
--	---

პროგრამის დასახელება, რის ფარგლებშიც ხორციელდება ქვეპროგრამა:	სოციალური პროგრამა			
ქვეპროგრამის კლასიფიკაციის კოდი:				06 02 02
ქვეპროგრამის დასახელება:	მარტოხელა მშობლების ფულადი დახმარება			
არის ქვეპროგრამა ახალი?			კი	არა
ქვეპროგრამის განმახორციელებელი:	ჯანდაცვის და სოციალური მომსახურების სამსახური			
დაფინანსების წყარო	2023	2024	2025	2026
მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი	3	2.33	2.52	2.72
მიზანი და აღწერა	მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან ერთჯერადი დახმარება მიეცემა ცაგერის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებულ მარტოხელა მშობელს. დახმარება განისაზღვრება 400 ლარის ოდენობით			

პროგრამის დასახელება, რის ფარგლებშიც ხორციელდება ქვეპროგრამა:	სოციალური პროგრამა			
ქვეპროგრამის კლასიფიკაციის კოდი:				06 02 02
ქვეპროგრამის დასახელება:	მოქალაქეთა უფასო კვებით უზრუნველყოფა			
არის ქვეპროგრამა ახალი?				არა
ქვეპროგრამის განმახორციელებელი:	ჯანდაცვის და სოციალური მომსახურების სამსახური			
დაფინანსების წყარო	2022	2023	2024	2025
მუნიციპალიტური ბიუჯეტი	160.0	172.0	185.0	200.7
მიზანი და აღწერა	<p>ყოველდღიური უფასო ერთჯერადი კვება გაეწევა:</p> <p>ცაგერის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებულ მუდმივად მცხოვრებ მოქალაქეს, რომლის ოჯახი სოციალურად დაუცველი და უკიდურესად შეჭირვებულია. ბენეფიციართა უფასო კვება განხორციელდება კვირაში ხუთი დღე, დღეში ერთხელ, გარკვეულ შემთხვევებში ადგილზე მიტანით და მუნიციპალიტეტის სხვადასხვა ადმინისტრაციულ ერთეულებში მცხოვრები ბენეფიციარებისათვის.</p>			

ქვეპროგრამის/ღონისძიების დასახელება	2023	2024	2025	2026
მოქალაქეთა უფასო კვებით უზრუნველყოფის ქვეპროგრამა	160.0	172.0	185.0	200.7

პროგრამის დასახელება, რის ფარგლებშიც ხორციელდება ქვეპროგრამა:	სოციალური პროგრამა			
ქვეპროგრამის კლასიფიკაციის კოდი:				06 02 02
ქვეპროგრამის დასახელება:	ომის ვეტერანთა და მათი ოჯახების დახმარების ქვეპროგრამა			
არის ქვეპროგრამა ახალი?		კი	არა	
თუ ქვეპროგრამა ახალია ვინ წარმოადგინა?				
ქვეპროგრამის განმახორციელებელი:	ჯანდაცვის და სოციალური მომსახურების სამსახური			
დაფინანსების წყარო	2023	2024	2025	2026
მუნიციპალიური ბიუჯეტი	10	10	10.5	11.34
სულ ქვეპროგრამა				
მიზანი და აღწერა	<p>პროგრამის მიზანია: მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტიდან ერთჯერადი ფულადი დახმარება მიეცემა ცაგერის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებულ სხვა სახელმწიფოთა ტერიტორიაზე საბრძოლო მოქმედების ვეტერანებს, საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის მებრძოლებს, საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის ომში მარჩენალდაკარგულებს, ვეტერანის დღის - 17 ოქტომბრის აღსანიშნავად თითოეულს 150 ლარის ოდენობით.</p>			

პროგრამის დასახელება, რის ფარგლებშიც ხორციელდება ქვეპროგრამა:	სოციალური პროგრამა
---	--------------------

ქვეპროგრამის კლასიფიკაციის კოდი:			06 02 02	
ქვეპროგრამის დასახელება:		უპატრონო მიცვალებულთა სარიტუალო მომსახურების დაფინანსების ქვეპროგრამა		
არის ქვეპროგრამა ახალი?		კი	არა	
თუ ქვეპროგრამა ახალია ვინ წარმოადგინა?				
ქვეპროგრამის განმახორციელებელი:		ჯანდაცვის და სოციალური მომსახურების სამსახური		
დაფინანსების წყარო	2023	2024	2025	6
მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი	6	6	7	8
სახელმწიფო ბიუჯეტი	0	0	0	0
სხვა...	0	0	0	0
სულ ქვეპროგრამა				
მ.შ. კაპიტალური პროექტები				
მიზანი და აღწერა	<p>ადგილობრივი ბიუჯეტიდან ანაზღაურდება შემდეგი სახის სარიტუალო მომსახურება:</p> <p>ა) მუნიციპალიტეტში დროებით რეგისტრირებულ იძულებით გადაადგილებულ პირთა გარდაცვალების სარიტუალო მომსახურება <b>450</b> ლარი;</p> <p>ბ) მარტოხელა ბენეფიციართა (რომლებსაც პირველი რიგის კანონიერი მემკვიდრე არ გააჩნიათ) სარიტუალო მომსახურება <b>450</b> ლარი;</p> <p>გ) მუნიციპალიტეტში რეგისტრირებულ საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის საბრძოლო მოქმედების ვეტერანთა გარდაცვალების სარიტუალო მომსახურება <b>450</b> ლარი;</p> <p>დ) მუნიციპალიტეტში რეგისტრირებულ სხვა სახელმწიფოთა ტერიტორიაზე საბრძოლო მოქმედების ვეტერანთა გარდაცვალების სარიტუალო მომსახურება</p>			
ქვეპროგრამის/ღონისძიების დასახელება	2023	2024	2025	2026
უპატრონო მიცვალებულთა სარიტუალო მომსახურების დაფინანსების ქვეპროგრამა	6	6	7	8



პროგრამის დასახელება, რის ფარგლებშიც ხორციელდება ქვეპროგრამა:	სოციალური პროგრამა			
ქვეპროგრამის კლასიფიკაციის კოდი:				06 02 02
ქვეპროგრამის დასახელება:	უსახლკარო და მძიმე საცხოვრებელ პირობებში, უბედური შემთხვევისა და სტიქიური მოვლენების შედეგად დაზარალებული ოჯახების საცხოვრებელი ფართის ქირის გადასახადის თანადაფინანსების ქვეპროგრამა			
არის ქვეპროგრამა ახალი?				კი არა
თუ ქვეპროგრამა ახალია ვინ წარმოადგინა?				
ქვეპროგრამის განმახორციელებელი:	ჯანდაცვის და სოციალური მომსახურების სამსახური			
დაფინანსების წყარო	2023	2024	2025	2026
მუნიციპალიტური ბიუჯეტი	6	6.48	7.0	7.56
სულ ქვეპროგრამა				
მ.შ. კაპიტალური პროექტები				
მიზანი და აღწერა	მიზანი: უსახლკაროთა თავშესაფრით უზრუნველყოფა .თანხა გაიცემა იმ უსახლკარო ოჯახებზე, რომელთაც არ გააჩნიათ საცხოვრებელი ფართი სხვადასხვა მიზეზის გამო (სტიქია, მეწყერი, ხანძარი და ა.შ.) ამ ბენეფიციარისთვის საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესების მიზნით გაიცემა ცაგერის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ბინის ქირის ყოველთვიური ფულადი კომპენსაცია <b>200-დან 400 ლარამდე.</b>			
ლონისძიების დასახელება	2023	2024	2025	2026
უსახლკარო და მძიმე საცხოვრებელ პირობებში, უბედური შემთხვევისა და სტიქიური მოვლენების შედეგად დაზარალებული ოჯახების საცხოვრებელი ფართის ქირის გადასახადის თანადაფინანსების ქვეპროგრამა	4	6.48	7.0	7.56

პროგრამის დასახელება, რის ფარგლებშიც ხორციელდება ქვეპროგრამა:	სოციალური პროგრამა		
ქვეპროგრამის კლასიფიკაციის კოდი:			06 02 02

ქვეპროგრამის დასახელება:		ორსულთა დახმარება		
არის ქვეპროგრამა ახალი?			კი	არა
ქვეპროგრამის განმახორციელებელი:	ჯანდაცვის და სოციალური მომსახურების სამსახური			
დაფინანსების წყარო	2023	2024	2025	2026
მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი	15	17	19	21
სხვა...	0	0	0	0
სულ ქვეპროგრამა				
მიზანი და აღწერა	<p>მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული და მუდმივად მცხოვრები სიღარიბის ზღვარს ქვევით მყოფი სოციალურად დაუცველ ორსულთა სრულფასოვანი კვებით უზრუნველყოფა.</p> <p>2. დახმარება განისაზღვროს თვეში <b>200 ლარის</b> პროდუქტით. ამ პროგრამით სარგებლობის უფლება აქვს 12 კვირის და 12 კვირის ზემოთ ორსულებს.</p>			
ქვეპროგრამის/ღონისძიების დასახელება	2022	2023	2024	2025
ორსულთა ო ერთჯერადი დახმარების ქვეპროგრამა	15	11.67	12.6	13.6

პროგრამის დასახელება, რის ფარგლებშიც ხორციელდება ქვეპროგრამა:	სოციალური პროგრამა		
ქვეპროგრამის კლასიფიკაციის კოდი:	06 02 02		
ქვეპროგრამის დასახელება:	ხანდაზმულ პირთა დახმარების ქვეპროგრამა		
არის ქვეპროგრამა ახალი?		კი	არა
თუ ქვეპროგრამა ახალია ვინ წარმოადგინა?			

ქვეპროგრამის განმახორციელებელი:	ჯანდაცვის და სოციალური მომსახურების სამსახური			
დაფინანსების წყარო	2023	2024	2025	2026
მუნიციპალიური ბიუჯეტი	18	18.36	19.83	21.42
სულ ქვეპროგრამა				
მ.შ. კაპიტალური პროექტები				
მიზანი და აღწერა	<p>მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან ერთჯერადი ფინანსური დახმარება მიეცემა ცაგერის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებულ ყველა ხანდაზმულ მოქალაქეს, რომელთა ასაკი განისაზღვრება 90 წელს ზევით.</p> <p>დახმარების თანხა განისაზღვრება 90 წლიდან- 95 წლამდე 200 ლარის ოდენობით, 95-დან 100-წლამდე 250 ლარი, 100 წლიდან ზევით 300 ლარის ოდენობით.</p>			
ქვეპროგრამის/ლონისძიების დასახელება	2023	2024	2025	2026
ხანდაზმულ პირთა დახმარების ქვეპროგრამა	18.0	18.36	19.83	21.42

პროგრამის დასახელება, რის ფარგლებშიც ხორციელდება ქვეპროგრამა:	სოციალური პროგრამა			
ქვეპროგრამის კლასიფიკაციის კოდი:				06 02 02
ქვეპროგრამის დასახელება:	ერთჯერადი (ფულადი) სოციალური დახმარების ქვეპროგრამა			
არის ქვეპროგრამა ახალი?			კი	არა
ქვეპროგრამის განმახორციელებელი:	ჯანდაცვის და სოციალური მომსახურების სამსახური			
დაფინანსების წყარო	2023	2024	2025	2026
მუნიციპალიური ბიუჯეტი	42	37.8	40.82	44.1
სულ ქვეპროგრამა				

მიზანი და აღწერა	<p>პროგრამის მიზანია სოციალურად დაუცველი მოსახლეობის საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესება. მუნიციპალიტეტში მცხოვრები ოჯახების, რომელნიც ამ პროგრამაში მოყვანილ არცერთ კატეგორიას არ მიეკუთვნება და დახმარების თხოვნის მომენტში სხვადასხვა მიზეზის გამო განიცდიან უკიდურეს გასაჭირს, დახმარების საკითხი განიხილება ამ წესის შესაბამისად.</p> <p>2. დახმარების ოდენობა განისაზღვრება საბჭოს მიერ, რომლის ოდენობაც არ უნდა აღემატებოდეს 300 ლარს.</p>			
ქვეპროგრამის/ღონისძიების დასახელება	2023	2024	2025	2026
ერთჯერადი (ფულადი) სოციალური დახმ	42	37.8	40.82	44.1

პროგრამის დასახელება, რის ფარგლებშიც ხორციელდება ქვეპროგრამა:	სოციალური პროგრამა			
ქვეპროგრამის კლასიფიკაციის კოდი:				06 02 02
ქვეპროგრამის დასახელება:	<p>დიალიზის პროგრამით მოსარგებლე ბენეფიციართა, დაუნის სინდრომის, 0 - 7 წლამდე ასაკის აუტისტური სპექტრის აშლილობის და ადრეული განვითარების შეფერხების მქონე ბავშვთა სატრანსპორტო ხარჯის თანადაფინანსება</p>			
არის ქვეპროგრამა ახალი?			კი	არა
ქვეპროგრამის განმახორციელებელი:	ჯანდაცვის და სოციალური მომსახურების სამსახური			
დაფინანსების წყარო	2023	2024	2025	2026
მუნიციპალიტური ბიუჯეტი	40	32.4	35.0	37.8

<p><b>მიზანი და აღწერა</b></p>	<p>მიზანია პროგრამით მოსარგებლე პირთა ყოფითი პირობების გაუმჯობესება. სამიზნე ჯგუფები და დახმარების გაცემის წესი: მუნიციპალიტეტში ფაქტიურად მცხოვრები: 6-დან 18 წლამდე ასაკის შშმ და ინკლუზიური ბავშვებისათვის არსებული საკვირაო სკოლის ფუნქციონირებისათვის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტიდან მოხდეს თანხის თანადაფინანსება.</p> <p>ცაგერის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული და მუდმივად მცხოვრები, დიალიზზე დამოკიდებული პაციენტი ფინანსდება ყოველთვიურად და დახმარების მოცულობა განისაზღვრება თვეში <b>300 (სამასი)</b> ლარის ოდენობით, ტრანსპორტის ხარჯებისათვის იმ ქალაქში, სადაც სარგებლობს სახელმწიფო დაფინანსების პროგრამით „დიალიზი და თირკმლის ტრანსპლანტაცია“.</p> <p>მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტიდან წელიწადში ორჯერ (3 დეკემბერი-შშმ პირთა საერთაშორისო დღე, 14 ივნისი-შშმ პირთა უფლებების დაცვის დღე) ცაგერის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებულ და მუდმივად მცხოვრებ 0-დან 18 წლამდე შშმ პირებზე გაიცეს სასაჩუქრე პაკეტი.</p>			
<p><b>ქვეპროგრამის/ღონისძიების დასახელება</b></p>	<p>2022</p>	<p>2023</p>	<p>2024</p>	<p>2025</p>
<p>ელექტროენერჯის საფასურის თანადაფინანსების ქვეპროგრამა</p>	<p>50,000</p>	<p><b>60,000</b></p>	<p><b>60,000</b></p>	<p><b>60,000</b></p>

<p><b>პროგრამის დასახელება, რის ფარგლებშიც ხორციელდება ქვეპროგრამა:</b></p>	<p><b>სოციალური პროგრამა</b></p>		
<p><b>ქვეპროგრამის კლასიფიკაციის კოდი:</b></p>	<p>06 02 02</p>		
<p><b>ქვეპროგრამის დასახელება:</b></p>	<p>წარმატებული სტუდენტის წახალისება</p>		
<p>არის ქვეპროგრამა ახალი?</p>	<p>კი</p>	<p>არა</p>	
<p><b>თუ ქვეპროგრამა ახალია ვინ წარმოადგინა?</b></p>			
<p><b>ქვეპროგრამის განმახორციელებელი:</b></p>	<p><b>ჯანდაცვის და სოციალური მომსახურების სამსახური</b></p>		

დაფინანსების წყარო	2023	2024	2025	2026
მუნიციპალიტური ბიუჯეტი	21.6	25	30	35
სახელმწიფო ბიუჯეტი	0	0	0	0
სხვა...	0	0	0	0
<b>სულ ქვეპროგრამა</b>				
მ.შ. კაპიტალური პროექტები				
<b>მიზანი და აღწერა</b>	ერთიან ეროვნულ გამოცდებში მიღებული 100% გრანტის მექანიზმების სტუდენტებისთვის ერთჯერადი ფინანსური წახალისება, ცაგერის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული საჯარო და კერძო სკოლის კურსდამთავრებულთათვის, რომლებიც ერთიანი ეროვნული გამოცდების საფუძველზე ჩაირიცხონ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში და მოიპოვოს სახელმწიფო გრანტის 100% . ერთ კურსდამთავრებულზე გასაცემი ჯილდო არაუმეტეს 1000 ლარისა .			
<b>ქვეპროგრამის/ღონისძიების დასახელება</b>	<b>2023</b>	<b>2024</b>	<b>2025</b>	<b>2026</b>
უმაღლესი სასწავლებლის სტუდენტის და პროფესიული სასწავლებლის მოსწავლის სწავლის საფასურის თანადაფინანსების ქვეპროგრამა	21.6	25	30	35

### 3.6 მმართველობა და საერთო დანიშნულების ხარჯები

მმართველობითი სფეროს გამართული ფუნქციონირება მუნიციპალიტეტის საქმიანობის ეფექტურად წარმართვის ერთ-ერთი მთავარი ფაქტორია, სადაც მნიშვნელოვანი როლი ენიჭება მოსახლეობის ჩართულობის სისტემების შექმნას და უზრუნველყოფას, საბიუჯეტო პროცესის გაუმჯობესებას, მიმდინარე პროცესების მართვას და სხვა ფაქტორებს.

პრიორიტეტის ფარგლებში განხორციელდება წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების დაფინანსება. ამავე პრიორიტეტიდან ფინანსდება ისეთი ხარჯები, როგორებიცაა სარეზერვო ფონდი, მუნიციპალიტეტის ვალდებულებების (სესხები, სასამართლო გადაწყვეტილებები) მომსახურება.

ორგ კოდი		2023წელი	2024წელი	2025წელი	2026წელი	სულ 2023-2026წ
<b>01 00</b>	<b>მმართველობა და საერთო დანიშნულების ხარჯები</b>	<b>3934</b>	<b>4,885.0</b>	<b>4,975.0</b>	<b>4,895.0</b>	<b>19,194.8</b>
	ხარჯები	3808.4	4,625.0	4,715.0	4,725.0	18,514.8
	შრომის ანაზღაურება	2743	3,235.0	3,335.0	3,340.0	13,145.0
	საქონელი და მომსახურება	965.4	1,025.0	1,025.0	1,080.0	4,150.0
	პროცენტები	30	60.0	50.0	-	-
	სოციალური უზრუნველყოფა	10	5.0	5.0	5.0	19.8
	სხვა ხარჯები	60	300.0	300.0	300.0	1,200.0
	არაფინანსური აქტივების ზრდა	70	180.0	170.0	170.0	680.0
	ვალდებულებები	55.6	80.0	90.0	-	-
<b>01 01</b>	<b>საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების საქმიანობის უზრუნველყოფა</b>	<b>3748.4</b>	<b>4142.8</b>	<b>4557.1</b>	<b>5012.8</b>	<b>18,474.8</b>
	შრომის ანაზღაურება	2743	3113.7	3425.1	3,340.0	13,145.0
	საქონელი და მომსახურება	865.4	937.9	950	990	3,430.0
	სოციალური უზრუნველყოფა	10	11	15	15	19.8
	სხვა ხარჯები	60	80	100	100	1,200.0
	არაფინანსური აქტივების ზრდა	70	180.0	170.0	170.0	680.0
<b>01 01 01</b>	<b>ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულო</b>	<b>1165</b>	<b>1575</b>	<b>1670</b>	<b>1825</b>	<b>6324.6</b>
	შრომის ანაზღაურება	950.00	1045	1150	1265	4410
	საქონელი და მომსახურება	140	200	200	240	826.6
	სხვა ხარჯები	55	300.0	300.0	300	968
	არაფინანსური აქტივების ზრდა	20	30.0	20.0	20	120
<b>01 01 02</b>	<b>ცაგერის მუნიციპალიტეტის მერია</b>	<b>2477.7</b>	<b>2894.6</b>	<b>3111.7</b>	<b>3330.9</b>	<b>11766.1</b>
	შრომის ანაზღაურება	1700	1991.7	2191.7	2410.9	8404.9
	საქონელი და მომსახურება	712.7	737.9	750	750	2791.2
	სოციალური უზრუნველყოფა	10	10	15	15	50
	სხვა ხარჯები	5	5	5	5	20
	არაფინანსური აქტივების ზრდა	50	150.0	150.0	150	500

<b>01 01 03</b>	<b>სამხედრო აღრიცხვისა და გაწვევის სამსახური</b>	<b>105.7</b>	<b>160.0</b>	<b>160.0</b>	<b>170.0</b>	<b>645.0</b>
	შრომის ანაზღაურება	93	135.0	135.0	140	545.0
	საქონელი და მომსახურება	12.7	25.0	25.0	30	100.0
<b>01 02 01</b>	<b>სარეზერვო ფონდი</b>	<b>70</b>	<b>70</b>	<b>70</b>	<b>70</b>	<b>280</b>
	საქონელი და მომსახურება	70	70	70	70	280
<b>01 02 02</b>	<b>წინა წლებში წარმოქმნილი დავალიანებების დაფარვა და სასამართლოს გადაწყვეტილებების აღსრულების ფინანსური უზრუნველყოფა</b>	<b>30</b>	<b>30</b>	<b>30</b>	<b>30</b>	<b>120</b>
	საქონელი და მომსახურება	30	30	30	30	120
<b>01 02 03</b>	<b>ადმინისტრაციის მუნიციპალიტეტის მ.გ.ფ-ისა და სხვა ვალდებულებების დაფარვა</b>	<b>85.6</b>	<b>85.6</b>	<b>85.6</b>		256.8
	პროცენტები	30	30	30		90
	ვალდებულებები	55.6	55.6	55.6		

კოდი	წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ხელისუფლება	2023 წლის დაფინანსება ათას ლარში	2024 წლის დაფინანსება ათას ლარში	2025 წლის დაფინანსება ათას ლარში	2026 წლის დაფინანსება ათას ლარში
01 01		3748.4	4142.8	4557.1	5012.8
<b>ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური</b>	<b>მუნიციპალიტეტის მერიის დაფინანსება</b>				
<b>ქვეპროგრამის აღწერა</b>	ქვეპროგრამა უზრუნველყოფს მუნიციპალიტეტის მერიის და საკრებულოს გამართულ ფუნქციონირებას, მუნიციპალიტეტის თანამშრომლების კვალიფიკაციის ამაღლებას, მუნიციპალური ვალდებულებების მომსახურებას, საბიუჯეტო პროცესის განვითარებას.				
<b>ქვეპროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი</b>	მერიის მიერ მოსახლეობისათვის გაწეული სერვისების გაუმჯობესება, მომსახურების მიღების გამარტივება. საბიუჯეტო პროცესის დახვეწა. ვალდებულებების მომსახურება.				



შეფასების ინდიკატორები							
საბოლოო შედეგი (OUTCOME)	2022 საბაზისო	2023	2024	2025	2026	სტრატეგიული მიზანი	შეფასების მაჩვენებელი
მერიაში შემოსულ წერილებზე პასუხის გაცემის საშუალო დრო (დღე)	3	2	1	1	1	1	ხარისხობრივი
შუალედური შედეგი (OUTPUT)		2022	2023	2024	2025	სტრატეგიული მიზანი	შეფასების მაჩვენებელი
მუნიციპალიტეტის თანამშრომლების გადამზადებისათვის დახარჯული სახსრების რაოდენობა	5,0	20,0	20,0	20,0	20,0	კვალიფიციური კადრები	რაოდენობრივი
შემოსული წერილების რაოდენობა	5864	6500	6500	6500	6500		რაოდენობრივი
გაცემული პასუხების რაოდენობა	5766	6400	6450	6450	6500	არ დარჩეს არცერთი განცხადება პასუხგაუცემელი	რაოდენობრივი
სარეზერვო ფონდიდან დახმარების გამოყოფაზე გამოცემული ბრძანებების რაოდენობა	33	30	30	30	30		რაოდენობრივი

